

გეორგიული ლიტერატურისა



2633
1955

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

„LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16^e). Tél.: Passy 75-35.

№ 20

სექტემბერი

— 1955 — SEPTEMBRE

№ 20

შ ი ნ ა ა რ ს ი :

გრიგოლ რობაქიძე — 1. მოწოდება. 2. დიდი დედა (რომიანიოვან „დალი“)

გ. გამყრელიძე — ზღაპარი ტფილისზე

პროფ. მ. წერეთელი — „მიმცემი და მიმღები“

აღ. მანველიშვილი — ძელი ცხოვრებისა

პროფ. მ. მუსხელიშვილი — რუსეთი არ არის ევროპა

ექ. მ. მალალაშვილი — ქართული ეროვნული თვითშეგნების განვითარების შესახებ

ნინო სალია — ლოცვა

მ. მ. თარხნიშვილი — ქართველთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიისა გადაღმა

პროფ. მ. წერეთელი — ძვირფას მეგობრის ხსოვნას

მ. კვიციანი — რუსიფიკაცია საქართველოში

კ. სალია — ძველი ქართული ლიტერატურა

ბიბლიოგრაფია, ქრონიკა

შვიდი წლის წინათ შეპუღეჭით გამოცემას ჩვენი ჟურნალისა. გამოვიდა ცხრაშეტო რვეფული. მეოცე ეს რვეფულია. რიცხვი: არც თუ მცირე ემიგრანტული პირობებში.

მეორე რვეფულში ვწერდი: „ეს ჟურნალი უნდა გახდეს კერად გადმოხვეწილ ქართველთა: კერად სულისა და გონისა. იქ უნდა გადმოიშალოს ქართველთა გულის თუ მაჯისცემა. ეს გულისცემა თუ მაჯისცემა ერთხნულ გჰყოფს გადმოხვეწილებს: ლხინში თუ ჭირში. უნდა იქმნას „გამოშიგნული“ დიდი კარდუს გენია: მისი მზეროსანი გონი. უნდა იქმნას გზნებით გადმოფურცვლილი მისი ისტორია, ეგზომი გულხშიერი. უნდა იქმნას დაცული მისი „მოღვაძე“ და მისი ზასიათი: რაინდულ გახსნილი. უნდა იქმნას მზიურ რკალეებში გაშლილი მისი სწორუპოვარი ენა: მისი გონმეტყველი სიტყვა. ერთი მოჭრით: „ქართლის ცხოვრება“ უნდა იქმნას გაგრძელებული. შევძლებთ ამას, მაშინ გადმოხვეწილობაც გავგვიადვილდება. კიდევ მეტი: ჩვენი მოვალეობაც იქმნება ასრულებული სამშობლოს წინაშე: საკრალური მოვალეობა.“

შევქმენით ეს კერაა? უთუოდ! ნამღევა, არა დიდი, მაგრამ მაინც კერა, საცა მონელებით ღვივის ცეცხლი საქართველოში.

ჟურნალმა მოიკრიბა თავის ირგვლივ ავტორები, ძველი თუ ახალი. განმტკიცდა შეგობრული კრებული თანამშრომელთა. გაჩაღდა კერა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დარგი ქართული კულტურისა, რომელსაც არ გახმაურებდადეს

ჟურნალი ამა თუ იმ მხრით. ფილოლოგიური კვლევა, ძველი ტექსტების გარჩევა, ისტორიული ძიება, ლიტერატურული განხილვა, მხატვრული პროზა, შაირი, თეატრი, როცა, მხატვრობა — ყოველი ეს ჰპოულობდა ჟურნალში თავის ადგილს. არ დაუტოვებია მას განზე პრობლემები ბუღისწერით დაჭიმული თანადროულიობისა. საქართველოს შუაგულითგან ეხმინებოდა იგი ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებას, გარდაცვლილს.

ჟურნალს თავითგანვე ნივთიერი დახმარება ეჭირებოდა. ხსენებულ წერილში მოგმართეთ, თანამემამულენო, თხოვით: დროდადრო დახმარებოლით ჟურნალს. განარებით აღვნიშნავ: ჟურნალს მოდიოდა თქვენგან ყოველი რვეფულისათვის დახმარება. მადლობას ვითვლიდათ იგი.

შემოწირულება, თქვენ მიერ გაღებული. ხარჯებს ვერ ჰფარავდა სრულად. დანარჩენს ჰფარავდა თვითონ გამომცემლობა. ახლა უძნელდება მას ეს.

ეს მდგომარეობა მაძულებს — არა: მავალებს — ახლაც მოგმართათ თხოვნით. ვიცი, ამიერაც გაუწვთ ჟურნალს დახმარებას. ჩემი თხოვნა ისაა: მხოლოდ, რომ ეს დახმარება გაძლიერებული იქმნას.

კერა გაჩაღებულია — არ ჩაჭკრეს ცეცხლი. იმედი მაქვს, არ ჰყოფთ უგულვებელ ამ თხოვნას, მით უფრო, რომ ვთხოვთ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ სახელითაც ყველა ავტორთა ჟურნალისა და მისი გამომცემლობისა.

გრიგოლ რობაქიძე

ზღაპარი ტფილისში

(ძღვენად „ბედი ქართლისა“ — მეოცე ნომერს)

იყო... და შემდეგ არა იყო რას...
ღვთის უკეთესია რა იქნებოდა?...
გულის დაფლეთა უყვარდა ყორასსა
და გული მაინც კვლავ მრთელდებოდა.
ცხოვრობდა ერთხელ მგზავრი საწყალო
მოხეტიალე ვინმე პოეტო.
ნახა მრავალი მან მიწაწყალო
ქვეყნები შორი... და უცხოეთი.
მას მოეწონა ბევრი ალაგი
ვარდისა სიწითლე ჩამავალ მზისი,

მაგრამ ვერ ჰპოვა ვერსად ქალაქი
ისე ლამაზი: როგორც ტფილისი.
თვალით იხილა შეუსადარი
ოქრო, სიმდიდრე და განსვენება,
გულით კი ფიქრობს: მიწა სად არი
ჩემო ტფილისო, შენი მშვენება!..
შენ გენაცვალოს ქალაქი ყველა,
ჯობისარ რიოს... ვაშინგტონს... პარიზს.
თავზე მთაწმინდა ვადგია მცველად,
ძირს ტალღებს არწევს დუღუნით მტკვარი.



ცა კურთხეული კალთას გაფარებს,
ცხრათვალა მზის ქვეშ ვნებებით თვრები.
გუგუნნი გააქეთ სიონის ზარებს,
და ბანს გუგუნით გაძღვევენ მთები.

როს გარიჟრაჟზე შენი ქედები
მზეს უღიმიან იქროთავცელას;
გიმღერენ ჰანგებს შენ პოეტები:
შოთა, აკაკი, ვაჟა ფშაველა.

მაგრამ თუ ღამის მღუმარე კალთა
დაფარავს ველებს ნისლით და რთვილით,
სული ობოლი გამოვა მტკვართან
და ატირდება ბარათაშვილი.

თუ ვარსკვლავებით შემოგარსული
ცა, თავს დაგყურებს — ლურჯი კამარით —
შენ გეცინხმრება დიდი წარსული,
დავითის ხრმალი... დროშა თამარის.

იყო, და მერე არა იყო რა...
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!..
გული კლანჭებით გაჰქონდა ყორანს
და გული მინც არა კვებოდა.

გიორგი გამყრელიძე

დალასი, თებერვალი, 1955 წ.

დიდი დედა

(რომანიდან „დალი“)

ადღვამის პირველ კვირას, რომელი „ახალ-
კვირად“ არის საქართველოში ხმობილი, უმგუ-
ლის ქალნი, ყველა დაქორწინებულნი, ქალთა რი-
ტუალის ასასრულლებლად გაემართენ. გადმოცემ-
ით, ბევრი რამ ამ რიტუალისა სუანეთში ვაჟებმა
არ იციან: ძველთაძველი საიდუმლო „დიდი დე-
დის“ თაყვანებისა ქალებს ფარულად შეუწახავთ.
სალოცავად შიშავალ ქალებში თანბის დედაც
ერია, მონადირის.

შიდიოდენ ნელი ბიჯით. იყვენ ნღუმარენი,
ჟოქში სიტყვით აყვანილნი. ვიდოდენ: უზრდ-
ეოდენ ერთიმეორეს შინაგან, გული ერთისა ნა-
თელი ფეთქვით ეხმინებოდა გულსა მეორისა.
ოდნავ მიზნედილ თვალთ შიშავალთა სათნოების
ციალი ეფინებოდა. სცილდებოდენ ყოფას ყო-
ველდღიურს.

მზის დახრისას მიადგენ შიშავალნი ერთს მო-
ზრდილ ბორცვს, ათასწლოვანი ხეებით გარსმო-
ვლებულს. მღეროდენ. იდგა ნყუდროება. მხო-
ლოდ ხანდახან ფრინველის ფრთქიალი ფოთლექ-
ში აფრთხობდა ფრთადამგებულ სიჩუმეს. მიღპ-
დენ ნამეხარი მუხის ქვეშ. სიტყვა არც ახლა წას-
ცდენია რომელიმეს. ხის ფულუროს წინ გააჩაღეს
ცეცხლი. ამოიღეს ჩანთიდგან პურის ცომი და ყმე-
ლი. მოზილეს კვერებად და შეუდგენ ცხობას სა-
წირველისა. გამოაცხვეს იქვესი კვერი: სამი დიდი,
სამი მომცრო.

შეჯგუფდენ, შენტკიცდენ, გაირიდენ. იდ-
გენ ასე. რაოდენიმე წუთი, განაბულნი. შემდგომ
პირი ჰქნეს მიმართ გადმისა. გამოჩნდა სალოცავი
ქალწულ მარიათისა: „ლამარია“. შეირხენ. ამარ-

თეს სამი დიდი კვერი და შესწირეს ღვთისმშო-
ბელს უსატყვა ვედრებით: ლოცვით.

ორიოდე წუთი კიდევ, ახლა სამი ქალი განო-
გო მწირველთ. ესენი ყველაზე ხნიერნი იყვენ.
სამში ერთი თანბის დედა იყო. გაემართენ იდღ-
მალ ადგილისაკენ: „დიდი დედის“ შიშართ, რომ-
ნელი უხნიერესია ღმრთის ძის დედაზე. წაიღეს
თან სამი მომცრო კვერი, თავლის სათლები და
ერთი დიდი აღვივებული ნაკვერჩხალი.

უსიტყვათ, შენელებული სღვით მიეახლენ
რჩეულნი იდღმალეობთ მოცულ ადგილს. დაფუ-
ტუროვებული ხეების გვერდით ერთ ალაგს ხერე-
ლი იყო უცნაური, ნიდაგის ჩაღრმავებით ქმნი-
ლი. ჯურღმული მოყვანილობით დიდს ზუმელს
გავდა. აქაიქ ბრტყელნი ქვანი: შესაძლოა ნატენნი
წარმართული ნიშისა, ძველთაძველის. ზოგი ქვა
ხავსმოკიდებული იყო, ზოგი დასირსვლული. სი-
რსვილი წარწერასავით იხაზებოდა, დროთა ვი-
თარებაში წარმოქალისა. აქ დრო აღარ იყო: სუ-
ფედვა ზესთადროული.

დედებმა მოიყარეს ნუხლი „ზუმელის“ წინაშე,
კდებით. დაადეს მისს ცნდეს ნაკვერჩხალი და
ზე სანთლების ნატეხები დააყარეს. ერთმა ქალმა
— ეს თანბის დედა იყო, სამსხვერპლო აქტის
ამქმელად რჩელი — სული დაჰბერა უკვე მო-
ფერფლილ ნაკვერჩხალს. თვითეული მათგანი
ლოდინით იყო დაბებული: აენტებოდა თუ არა
თუ გინდ ერთიც სანთელის ნატეხი. აენტებოდა—
ეს იქმნებოდა ნიშანი მსხვერპლის მიღებისა „დი-
დი დედის“ მიერ.

უკან დარჩენილ დედებსაც ჰბავდა მძაფრად
ლოდინი: გართხმულ იყვენ მიწაზე და ეკვროდენ

ერთმანეთს ვითარ დაფრთხობილნი ნიამოსონის მიწა, დედა, იღქმევდა მათს გზნებას და მოჰქონდა იგი წირვასი აგზნებულთა მომართ. ქვეფენილ ჰმატებდა ეს ძალას მწირველ დედებს.

უეცრად ჩრდილი მოედო არეს. შეჰკრთენ სამინი. აიხედეს მალა: ზრქელი ღრუბელი იფინებოდა. განვლო ღრუბელმა: გაინთქა ჩრდილი. კვლავ ახალისდა ცხრათვალა მზე, ხალასი. შემკრთალთ გულს მოეშვათ — ხოლო ლოდინი კიდევ უფრო გაუშმაფრდათ.

დაჰბერა სული მეორუნელ ამქნელმა ნაკვეთრხალს. აენთო ერთი ნატეხი საინთლისა. უმაღვე დაეშვენ დედები ნეტარებით. აღაპყრეს მალა ხელნი. ხელში კვერი ეჭირა თვითიუფლს. იხმეს „დადი დედა“ აღტყინებულებმა. გაისმა ირგვლივ გულხმვიერ ზახილი: „მოგვეც, მოგვეც სამირაველუ ვაჟთა!“ თანბის დედა გულში ამასაც უნატებდა: „შეჰმატე, დედაო, ჩემს ძეს ძალა ვაჟისა!“

მოათავეს ზორვა. კვერები „ზუმელში“ ჩაალავეს: დაკრძალეს. ზე დიდი ქვა დაადევს, ბრტყელი. სამჯერ მუხლი მოიყარეს. გამობრუნდენ უკან, უსიტყვით.

სხვები პირქვედამზობილ უცდიდენ გამობრუნებულთ, ხმაამოულებლოვ. სცნეს თუ არა მათი მოახლოება, წამოდგენ წამსავე და ერთხმად შეეგუებენ: „გაგმარჯვებით მიწის სალოცავის ღოცვა!“ „თქვენც გაგმარჯვებით!“ მიუგეს დაბალი ხმით დაბრუნებულებმა. გადაეხვიენ ერთიმეორეს, დაკოცნეს ერთმანერთი.

დასხდენ. იგემეს სამსხვერპლო ნაცხობი. ისხდენ დაყურსულნი. ჰხარობდა ტანი ქალობით. სიტყვამაც იმატა ნელინელ. წამოდგენ ახალისებულნი და შევებით დაეშვენ სოფლისავენ.

„დიდი დედა“ უმგულს უბეში იხუტებდა.

გრიგოლ რიზაქიძე

(„დალის“ გერმანული ტექსტი გამოვიდა წიგნად 1934 წელს, სხვა სათაურით)

მინაწერი. „დიდი დედა“: „მაგნა მატერ“ ცნობილია ყველგან. „დედა“: იგულისხმება ქალური თაური მსოფლიოსი. არა მგონია, რომელიმე ხალხს ეგზნოს ეს თაური ისეთი სიღრმით როგორც ქართველებს. „დიდ-დედას“ სენათა ესიტყვება „ადგილის დედა“ ხევისურთა: როგორც ასული დედას.

გვყავს სამი დედა: წმ. ნინო, მეფე თამარ, დედოფალი ქეთევან. თვითიუფლი მათგანი თავისებურ სახეობებს ქალურ თაურს. ნინომ დამყნა საქართველოს ხის ტანში ქრისტეს სჯული — ხე იქნა ნამყენით „ხელ სიტოცხლისა“. თამარმა განფინა შარავანდით ხელმწიფება ქართველთა, დღინებული დავით აღმაშენებელის მიერ. ქეთევან ეწამა ნაქმისათვის როგორც ნინოსისე თამარისა. ამ სამის ერთობითა მუხლში მოქცეულია უშრეტე ენგადი ქართველთა ყოფისა.

ნინოს ვიგონებთ იანვარში: „კალენდარულად“, თამარს მაისში, როცა მიწვეულნი ვართ რომელიმე თამარ - ჩქმეულთან; ქეთევანს არც ისე ვიხსენებთ და არც ასე: დაგვიწყებია.

სასურველია, ეს სამი — ნინო, თამარ, ქეთევან — ერთად მოვიგონოთ: მოვიგონოთ ფესვებით. დღესასწაულისათვის მე, ვირჩევდი რომელიმე დღეს მწიფობისთვისა. თანხად აქ, მგონია, პარიზის ქართველთა სათვისტომო უნდა გამოვიდეს.

მესმის შეკითხვა: „მამათა“ შორის ვინ ვიდღესასწაულოთ? ჩემი პასუხი: ყველაზე წინ დიდი მეფე, აღმაშენებელი დავით. (სხვებზე შემდეგ ვიფიქრებთ.) დღედ მისი კულტისა არჩეულ იქნება აგვისტოს 14: ამ დღეს იქნა იგი, 1121 წელს, „ხელმწიფედ“, ამ სახელდების კარდუ - ს ვაგეზ ბით — მოიგონებენ თანამემამულენი.

გ. რ.

„იოცამი“ და „იოცაზი“
(ი. „ბ.ქ.“ № 11, 15, 17, 19.)

ზოგი მკვლევარი სარწმუნოებათა იმ აზრის არის, რომ მითრას კულტი რომში ქრისტიანობას ისეთს მეტოქეობას უწევდა, რომ საკითხი იყო, მითრას სარწმუნეობას უნდა გაემარჯვა თუ ქრისტიანობასაო.

ჩვენ ეს დიდი შეცდომად მიგვაჩნია. — შართალია, როდესაც რომის იმპერია უზარ-მაზარი გახ-

და და მრავალ ქვეყანათ შეიცავდა, როდესაც რომაელთა სარწმუნოებამ, ისედაც მკრთალმა და ძალის არა მქონემ, სარწმუნოების თვისება დაჰკარგა, რომაელის სულს ვეღარ აკმაყოფილებდა ფილოსოფია და მეცნიერება და სარწმუნოება და სულის სიმშვიდე სწყუროდა, აღმოსავლეთითგან და ეგვიპტითგან შემოვიდა მრავალი კულტი,

მრავალი სარწმუნოება, იდეებით ცოდვისა, ცოდვათა და მათგან ხსნისა, ახლად შობისა, მკვდრეთით აღდგომისა, სასუკუნო ნეტარი ცხოვრებისა და სხვა, რომლებიც იტაცებდა სარწმუნოებას და სულის სიმშვიდეს მოწყურებულ ადამიანს. ამ უცხოეთითგან შემოსარულ სარწმუნოებათაგან ყველაზედ უფრო გავრცელდა მითრას (სპარსული მზის ღმერთის) სარწმუნოება, კულტი, მისტერიები, განსაკუთრებით მხედრობაში. მაგრამ განა შეიძლება შედარება მითრაიზმის გავლენისა ქრისტიანობის ნოქმედებასთან ადამიანის სულზედ, მის ძალასთან? ქრისტიანობასაც ბევრი რამ ჰქონდა აღმოსავლური, — ებრაელთა ერთიღმერთის იდეა, იგივე იდეები ცოდვისა, ცოდვათაგან ხსნისა, აღდგომისა, კეთილის გამარჯვებისა ბოროტზედ, განკითხვის დღისა, სამოთხისა კეთილთათვის და ჯოჯოხეთისა ბოროტთათვის, აგრეთვე მისტერიებიც აღმოსავლური არ იყო მისთვის უცხო, მაგრამ ქრისტიანობა წარმოიშვა ჰელენიზმის წიაღში, მის ელემენტთა შორის ბერძნული ფილოსოფია უმნიშვნელოვანესი იყო. იგი არ იყო წმიდა აღმოსავლური სარწმუნოება, მიუხედავად მისი აღჩენისა პალესტინაში. ხოლო ამ უმთავრესი ის არის, რომ განმაცხადებელი ამ სარწმუნოებისა იყო ქრისტე, ისტორიული პიროვნება, რომელიც მისი სარწმუნოების ქადაგებისათვის გაასამართლეს და ჯვარს - აცვეს. — ჯვარს აცვა თვით აღმოსავლეთის ებრაელობამ, დასავლეთისა. — პილატეს — არა გულ - წრფელი სურვილით და ნებით. იესო ქრისტე იყო კაცო, მაგრამ ღმერთი განკაცებული, გამოგზავნილი ნამისაგან კაცთ - მოყვარებით კაცთა ხსნისათვის ცოდვათაგან, იგი იყო შესისა, ცხებული. რე იყო მაცხოვარი და დიდი პარაკლტი წინაშე მამისა კაცთა მაცხოვარებისათვის, მქადაგებელი კეთილისა და სიყვარულისა ბოროტისა და სიძულვილის წინააღმდეგ, კაცთა სიყვარულისათვის შემწივრელი თვისი სიკაცობისა. სწავლა ქრისტესი ყურით ჰქონდა ხალხს მოსმენილი და მას მოწაფენი ჰყავდენ. ენება მისი მათ თვალთ იხილეს. აღდგომა მისი, ღმერთი - კაცისა, მათ ირწმუნეს. მისი ზეცადვე ასლვის შემდეგ მის გამომგზავნილ მამასთან მას დარჩა თავ - განწირული, კლდესავით შეტყვევლი რწმენის მქონე მოციქულები, რომლებიც მთელს იმპერიას მოედვენ ქადაგებით მისი სახარებისა, და ისეთი ქადაგებით, რომელსაც არავითარი შეგავსება არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მითრას ქერუშთა ქადაგებასთან. ან რა შეგავსება იყო მათი იმ მოწამებთან,

რომელნიც ქრისტეს სიყვარულისათვის არავითარი სახის სიკვდილს არ ერიდებოდენ! ქრისტიანობა აღიარეს ბერძენ და რომაელ უგანათლებულ ლეს და უნიჭიერეს კაცთაც და მათ განსაცვიფრებელი გონებრივი ენერგია დახარჯეს მის ერთ დიდ სარწმუნოებრივ - ეთიურ - ფილოსოფიურ სისტემად ჩანოსხმისათვის. მართო ღვაწლი ორივენივეს და ავგუსტინის არის განსაცვიფრებელი. შეიქმნა ეკლესია, რომელსაც მართლაც ვერ მოერეოდენ „ბრჭენი ჯოჯოხეთისანი“ და მან იდეათვის დოგმათა დაძვარება, რათა ერთი, საბოლოო სახე მისცემოდა ახალ სარწმუნოებას და ბოლო მოღებოდა არც - დარცვას, რომელსაც მრავალი სექტა იწვევს ყოველთვის ახალი სარწმუნოების დადგენის დროს. ეკლესიის მამებმა ეს შესძლეს, თუმცა იგინი მათ ყრილობებზედ ერთმანერთს წვირ - ულვაშს ჰგლეჯდენ და კვერთხებით თავს უტყებდენ მსჯელობათა დროს.

და რა შეტოქეობა უნდა გაეწია ასეთი ძალის მქონე სარწმუნოებრივ - სულიერო მოძრაობისათვის მითრას, ან ოზირისის ან სხვა რომელიმე აღმოსავლურ სარწმუნოებას, ანუ კულტს მისი ჰეკატომბებით და მისტერიებით ეგზარსტიისათვის, „უსისხლო მსხვერპლისათვის“!

განდა უზარ - მზარი მწერლობა ქრისტიანული, შექმნილი ხანგრძლივ მოძრაობაში, — გადმოტანილ იქმნა ქრისტიანული მწერლობაში ებრაელთა ძველი აღთქმა, უკვე თარგმნილი ბერძნულად ებრაელ ნეცნიერთაგან, დაიწერენ სამოციქულონი, სახარებანი, აუარაბელი საღვთის - ნეტყველო და ფილოსოფიური თხზულება მეცნიერი ღვთის - მეტყველთა და ფილოსოფოსთა. შეიქმნა „წერილი“, რომელსაც საწარმართო მეცნიერება ველარ ეწოდდა. ქრისტიანულმა მეცნიერებამ და ფილოსოფიამ თვით მათნი „ქეწნარტეზანი“ შეითვისა და წარმართობას მისივე საჭურვლით ებრძოდა და ამარცხებდა.

ახალი სარწმუნოება ბოლოს ყოველ ქვეყანაში ხალხურ სარწმუნოებრივ წარმოდგენებზედ და ჩვეულებებზედაც დაემყნო და ამით განიმტკიცა საფუძველი ხალხთა შორის.

და იგი ძლიერ - მოსილი გაბატონდა ხოლოს და ბოლოს ვითარცა ერთი სარწმუნოება რომში და მის პროვინციებში, საბერძნეთში და აღმოსავლეთის მრავალ ქვეყნებში.

ეკლესია ქრისტესი აღმენდა მართლაც „კლდე - საზედა“. რომის ეკლესიამ პირველობა მოიპოვა თითქოს იმ ფაქტის თუ ტრადიციის მიხედვით, რომ მთავარი მოციქული ქრისტესი პეტრე რომ-

ში ნოღვაწეობდა და იქ ეწაზა. ნამდვილად კი მან მიითვისა უნივერსალობა არა მარტო იმიტომ რომ ეკლესია ერთი უნდა იყოს, არამედ იმიტომ რომ მან თავა იდგა რომის იმპერიის უნივერსალობის განგრძობა, — სხვა სახით, სასულიერო რომის შექმნით. და პავლეც, ეს უდიდესი მოციქულთა შორის, ნამდვილი შემოქმედელი „ეკლესიისა“ ევროპაში, ხომ ავრეტვე რომშიც მოღვაწეობდა და იქ ეწაზა, და ესეც არგუმენტი იყო რომის ეკლესიის პირველობისა.

აი ეს სარწმუნოება დაედგა სულიერ საფუძველად რომის შემდეგ წარმოშობილ დასავლეთ ევროპას, — და ეს იყო საფუძველი, რომელიც ამ ახალ ევროპას სულიერად საექსეზით განასხვავებდა ძველისაგან, — საბერძნეთ - რომისაგან.

რა „მისცა“ აღმოსავლეთმა დასავლეთს ქრისტიანობით? უფრო მისივე დაღბრუნა, ვინაიდან რაც კარგი იყო ქრისტიანობაში, — მიუწვდომელი იდებოდა, უმალღესი ზნეობა, სწავლა, აღმამაღლე ბული აღამიანის სულისა და სხ., — ესე ყოველი „ევროპულიც“ იყო. ერთი ღმერთი მარტო აღმოსავ. კაცთა, ებრაელთა მოგონილი არ იყო. მას თვით ბერძნულ „სარწმუნოებაშიც“ ეხედავთ, და ამასთანავე ქრისტიანულ ერთ ღმერთს ძლიერ ცოტა მსგავსება აქვს ებრაელთა იაჰვესთან. თვით ქრისტიე იუდიის ტომისა არ იყო, არამედ გალილეელი, აღზრდილი ებრაელ სარწმუნოებაში, რომელიც მან თვისი მოძღვრებით საექსეზით უკარკყო. ხოლო პავლე ნოციქულმა უკანასკნელი ძაფი გასწყვიტა, რომელიც ქრისტიანობას იუდაიზმთან აერთებდა. თუ ეკლესიამ ძველი აღიქმა, ეს კრებული ებრაელ სხვა და სხვა დროს დაწერილი და სხვა და სხვა მონარისის თხზულებათა, საღმრთო წერილად მიიღო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას იგი თვისი მოძღვრების სისტემისათვის სჭირდებოდა და გამოიყენა კიდევ. ვადაბა რა იგი ხელოვნურად, იანგებ ახალ აღიქმას, ბერძნულად დაწერილს, რომელთანაც მას ნამდვილად არავითარა კავშირი არ აქვს. არც ერთ დიდ ქრისტიანს არც ძველად და არც შემდეგ განმაცხოვრებელი, ნამდვილი „სასუნიელი“ მისი სულისა „ძველი“ აღიქმის წყაროთგან არ ამოუღია, არამედ ქრისტეს სახარებთგან, მოციქულთა წერილებითგან და სხვა „ახალი“ წყაროებითგან! თუ ქრისტიანობა პალესტინაში, აღმოსავლეთში აღმოცენდა, ესეც არ ამტკიცებს მის სრულს „აღმოსავლურობას“, ვინაიდან დიად პალესტინა იყო აღვილი, სადაც ხედებოდენ ურთი - ერთი არქეოლოგიურ - ფილოსოფიური იდეები დასავლეთისა და აღმოსავლეთისა,

თისა, და უფრო დასავლეთის კულტურის სფეროში, ვიდრე აღმოსავლეთისა. თვით ასკეზი უცხო არ იყო ბერძნის სულსათვის!

და თვით ქრისტიანობამაც ყველგან, ყოველი ერთი წიაღში მიიღო ერთი ვნსული ფერი, იგი გახდა ეროვნულ შემოქმედებად მიუხედავად ერთაგან მისი „მიღებისა“. ამას ამტკიცებს განსაკუთრებული საეკლესიო ცხოვრება ყოველი ერისა და კულტურა მისი, მისგან ახლად შექმნილი ქრისტიანობის ნიადაგზედ, და მუნ გაზრდილი. თვით დასავლეთის ანტიური კულტურა კედებოდა ქრისტიანობის წინაშე, და მიუხედავად მის მიერ ქრისტიანობისათვის მრავლის რასისამე ვარდაცემისა, იგი მას საბოლოოდ გამოეთხოვა, ვითარცა ახალ მოვლენას, ახალ შემოქმედებას დასავლეთისა, სრულად განსხვავებულს ძველისაგან. და როდესაც ივლიანე „განდგომილქმ“ა მოინდომა ახლის სიკვდილი და ძველის გაცოცხლება, იგი დამარცხდა, რათგანაც უნდა დამარცხებულიყო: მკვდრის აღდგენა შეუძლებელი იყო. ეს ბოლოს მანაც იგრძნო და მას მიაწერენ სიტყვებს, რომელიც მას დამარცხებულს და მომკვდავს უნდა ეთქვა: „გამარჯვება შენია, ვალოლქველო“.

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოშობილი დასავლეთი ევროპა გერმანელ ტომთა მიერ გალიისა, იტალიისა, ესპანიისა და ბრიტანეთის კუნძულთა დაპყრობით და მათ მიერ იქ შექმნილ ახალ პოლიტიკურ ორგანიზმთა შეიქმნა. გერმანელთა შესევას ამ ქვეყნებში „ბარბაროსთა შემოსევას“ უწოდებენ, აძლევენ რა სიტყვა „ბარბაროსს“ მნიშვნელობას „არა კულტურული ვულურისა“ და სხ.. და ესეც დიდი შეცდომაა. „ბარბაროს“ ბერძნულად ნიშნავს უპირველესად „გაუგებარი ენით მტყველს“, „უცხოელს“, „არაბერძენს“ და სხ. ასე უწოდებდენ ბერძნები სპარსთაც, რომელიც სრულად არ სთვლიდენ ისინი „არა-კულტურულად და ველურად“. ეს მნიშვნელობა სიტყვას შემდეგ მიეცა. ხოლო თვით სიტყვა არც ბერძნულია, არამედ უნდა იყოს სუმერული ბარ - ითგან ვარდმონაცემი, რაცა ნიშნავს „გარეგანს“, „უცხოს“, აქეთგან „მტერსაც“.

გერმანელთა მიერ არა - გერმანულ ქვეყანათა დაპყრობით და იქ დამკვიდრებით წარმოიშვენ ახალი ერები დასავლეთი ევროპისა, ახალი საზოგადოებრივი აგებულებით, და თვით გერმანიისშიც იგივე იყო მათი პოლიტიკურ - სოციალური შემოქმედება: მონარქიები და მათ შიგნით სუერის-თეობა, დიდი და მცირე, ურთი - ერთზედ და-

ნოკიდებულო, პატრონყმობა, რომელიც მეფეთ-
გან დაწყებული გლეხამდე ყველას ადებდა გან-
საზღვრულ მოვალეობას, უმცროსს უფროსისადმი
და უფროსს უმცროსისადმი, ურთი - ერთის სამ-
სახური და გაუტეხელი ერთგულობა, რანდობა,
აგრეთვე ქალაქები, მუდამ მებრძოლი მათი რეს-
პუბლიკანური თავისუფლებისათვის, ცენტრები
ხელისნობისა, ვაჭრობისა, მაშინდელი ხელოვნე-
ბისა და ნეცნიერებისა, — სხვა თვისებისა ვიდრე
ანტიური „პოლისი“, და სხვა, რაიცა კუთვნილებანი
არის ე. წ. „ფეოდალური“ წყობილებისა, ეს იყო
სახოვადობრივი საფუძველი, რომელიც დაედვა
დასავლეთი ევროპის ახალ ცხოვრებას და შეიქმნა
ახალი კულტურა, სულ სხვა ვიდრე მანამდე არ-
სებობდა.

წარმოიშვა ქრისტიანულ - ფეოდალური ევ-
როპა, რომელსაც სულიერად აერთებდა უმთავ-
რესად უნივერსალური ეკლესია რომისა. თუ წინ-
ათ იტალიაში ჰეროული ოდოგაკარ, მის შემდეგ
ოსტ - გოთი თეოდორიხ (დიტრიხ) და ამის შემ-
დეგ ლანგობარდები აშენებდნენ ახალ იტალიას,
თუ იგივე ხდებოდა ესპანიაში ვესტ - გოთების
ქსერკით, გალიაში ფრანკი ხლოდოვეხ (ხლო-
დვიგ - ლუდვიგ) ჰქმნიდა ფრანკულ მონარქიას.
დიდ - ბრიტანეთში ანგლები და საქაები ახალ,
გერმანულ ერსა და სახელმწიფოს ქმნიდნენ, თვის
გერმანიაში და სკანდინავიაში იგივე შემოქმედე-
ბითი ძალა მოქმედებდა. და სწორედ გერმანიაში
იქმნებოდა ხერხემალი ევროპის კონტინენტისა
და უკვე მეცხრე საუკუნეში კარლ დიდის იმპერია
დასავლეთ ევროპის უდიდეს ნაწილს შეიცავდა.
„იმპერატორები“ რომში პაპსგან იკურთხე-
ბოდნენ და მისი ხელით იდგამდნენ თავს საიმპერია-
ტორო გვირგვინს. პაპობას და იმპერაას, - ორივეს
ჰქმნიდა უნივერსალობის პრეტენზია. ამ ნიადაგ-
ზედ მომხდარო ბრძოლათა შედეგები, ზოგჯერ
დიდად მავნებელი ევროპისათვის, ცნობილია, —
ეს არ არის საგანი ჩვენი მსჯელობისა. ვიტყვი
მხოლოდ, რომ ორი უზარმაზარი პოლიტიკურ -
სულიერი შენობისაგან ერთი დარჩა „წმიდა რო-
მის იმპერიად გერმანული ერისა“ დასავლეთი
ფრანკეთის განშორების შემდეგაც მეცხრამეტე
საუკუნის დასაწყისამდე, ხოლო მეორე დღესაც
არსებობს. ახალი იმპერია გერმანელთა კი პირ-
ველი დიდი ომის შემდეგ დაემხრა და შემდეგ, სხვა
ხასიათით კვლავ აღმდგარი და გაძლიერებული,
სამუდამოდ განქრა მეორე მსოფლიო ომის დასა-
სრულის.

ჩა იყო ყოველივე ეს შედარებით იმასთან,

რაც იყო რომი? სულ სხვა რამ, საესებთ გან-
სხვავებული ანტიური ქვეყანისაგან: ახალი სახ-
ელმწიფოები, ახალი ერები, ახალი სოციალური
წყობილება, ახალი სარწმუნოება, ყოველივე შე-
ქმნილი ახალი ადამიანისაგან, რომელსაც არაფე-
რი საერთო ჰქმნიდა რომაელთან და ბერძენ-
თან, თვინიერ ამ კულტურათა ცოდნისა და შე-
თვისებისა, ვითარცა ნასწავლისა. ესე ყოველი არ
იყო პირდაპირი განგრძობა ანტიკისა, არამედ
სრულიად ახალი შემოქმედება სხვა სისხლისა და
სხვა სულის მატარებელი ადამიანის მოდემისა.
და რა „მისცა“ ამ ახალ ქვეყანას რომმა? ბევრი
რამ დაუტოვა მემკვიდრეობად, — ენა საეკლე-
სიო, სამეცნიერო, სამართალი, რომელიც უფრო
ს ა შ უ ა ლ ო საუკუნეთა შემდეგ აწესრიგებდა
ევროპის კონტინენტის ცხოვრებას და სხვა, უმ-
თავრესად კი ნანგრევები და ნაშთები ძველი კუ-
ლტურისა, რომლის შესწავლას და შეთვისებას
ახალი ქვეყანა საუკუნეთა შემდეგ თვისი წარმო-
შობისა შეუდგა. მაგრამ ეს „მინაცემი“ არ იყო
განსაზღვრელი ახალი ქვეყნის მიერ ახლად შექ-
მნილის არსებისა და მთავარი პირობა ახალი
კულტურის განვითარებისა.

ეს ე. წ. „საშუალო საუკუნეთა“ ეპოქა დასავ-
ლეთი ევროპის ისტორიისა ხშირად ყოფილა და
არის დღესაც ცილ - წამებული: იგია წარმოდგე-
ნილი დროდ სიხნელისა, უვიცობისა, ცრუ - მო-
რწმუნეობისა, სისასტიკისა, სირეგვისა. მაგალი-
თად ისეთი დიდი ფილოსოფოსიც, რაგვარაც იყო
არტურ შოპენჰაუერი, „ქრისტიანულ - გერმანულ
სისულელეს“ უწოდებს, — ამ უკეთილშობილეს
მოვლენას, რომელიც რანდულ - ფეოდალური
კულტურის ნიადაგზედ აღმოცენდა, დიდ „ქრი-
სტიანულ - გერმანულ“ დასავლეთ ევროპაში,
ნაგრამ სხვაგანაც, მაგ. საქართველოში, სადაც
იგი იყო „ქრისტიანულ - ქართული“. — მონასტ-
რებში სწარმოებდა დიდი სამწერლობო მოდგა-
წეობა ევროპაში ისევე როგორც სხვა საქრისტი-
ანო ქვეყნებში (საქართველოში და სხვაგან), და
ბერების ნააზრი ყოველთვის სიხნელე და სირეგ-
ვნი არ იყო, არამედ დასაწყისი შემდეგ განვითარ-
ებულნი მეცნიერებისა და ფილოსოფიისა. — ამ
დროსვე ხდებოდა ლათინური ენის ბატონობის
გარღვევა და იბადებოდა მწერლობა დასავლეთ
ევროპის ახალი ერთა, — რომანულ და გერმანულ
ენებზედ. — მეფეთა და დიდ ერისთავთა კარნი
ყველგან დიდნი კერანი იყვნენ ეროვნულ კულ-
ტურათა და მათი გაზრდისა და გაფორმების შე-
მდეგ გვიდგება ნათლად თვალ - წინ დიადი როლი

კულტურის ამ ბუდეთა. — ამ ეპოქაში წარმოიშვა ე. წ. ეკათერი სტილი ხუროთ - მოძღვრებისა ჩრდილოეთ საფრანგეთში და გავრცელდა მთელ სასუფალო და ჩრდილოეთ ევროპაში, — განსხვავებული რომანული სახეები. — ამ ეპოქაში გაჩნდნენ ქალაქები, ნამდვილი რესპუბლიკები, სადაც განსაკუთრებული მხნეობით და ნამაცოხით იბრძოდა მოქალაქე მისი თავისუფლებისა და მის უფლებათა დასაცავად ყველას წინააღმდეგობ, ვინც მათ შეებოდა, — იქმნებოდა ეს წინააღმდეგობი მეფე, ფეოდალი თუ ეპისკოპოსი. ცნობილია ნათი შექანიშნაევი ორგანიზაცია ვაჭრობისა და ხელოსანობისა, მრეწველობისა, მათი კორპორაციები, მათი მეთოდები ხელოსანთა სწავლისა და აღზრდისა, მათი „მედიცინები“, გაწვრთნა ხელოსანთა ოსტატად და ხელოვანებად. ამათი მოგზაურობა და ხელობის სწავლა ყველგან, სადაც მათ ახალისი რაისამე სწავლა შეეძლოთ, და სხვ. ამ ქალაქებში კეთდებოდა, სხვათა შორის, ისეთი სასწავლო ინსტრუმენტები, რომელიც დღესაც განცვიფრებას იწვევს, და ერთობ ეს ქელაქები იყო ის ძველი ბუდეები, სადაც გამოიჩეკა სწორი კდის მეცნიერება, გაზრდილი და განვითარებული ჩვენ დღემდე, და სხვ. და სხვ., და თვით „ალორძინებაც“ ხომ ვარეფე ამ ქალაქთა არ მომხდარა!.. — ხოლო ვანც სიბნელეს, სირევენეს და სისასტიკეს უწოდებს სასუფალო საუკუნობებს, მათ კეთილ - ინებონ და ალორძინების ხანა მოიგონონ ინკვიზიციისა და სხვა საშინელებათა მძინვარებით. მათ „ახალ“ ეპოქას გაუსწავონ სახე, და ნახვენ, რომ იგი არც ერთი უკეთესობით არ ჩამორჩება სასუფალო საუკუნობებს და ერთობ სისასტიკით მათმა ეპოქამ ისევე გადაატარა მსს, რ-გვარადაც ალორძინების ეპოქამ, მიუხედავად ორივე ეპოქის წინ - სღვისა, „პროგრესისა“, რომელიც პარალელურად ხდებოდა. მან დაჰკარგა ყოველი კეთილ - შობილება, სინაღოსი, სამართლისა და ერთობ ადამიანობის გრძობა, რაინდობა და სხვ., რაიცა სასუფალო საუკუნობებში იყო მიუხედავად მისი სიბნელისა, სისასტიკისა, სირევენისა, ცრუ - მორწმუნეობისა, და დღეს აღარ არსებობს მიუხედავად ახალი დროის მეცნიერებისა, ტექნიკისა და სხვა „მონაპოვართა ცივილიზაციისა“! ერთობ სასუფალო საუკუნეთა დასავლეთი ევროპა მისი ბრძოლებით მონარქთა და დინასტთა შორის, საეროსა და სასულიეროს შორის, მისი სასახლეებით, ციხე - დარბაზებით და კომპებით, საითგანაც გამოდიოდა სისასტიკე, მტრობა და ინტრიგა, მაგრამ სა-

დაც ამავე დროს დიდი კულტურა ცოცხლობდა და იზრდებოდა, მისი დიდებული ტაძრებით, რომელთა მსგავსის შექმნა დღევანდელ ადამიანს აღარ ძალ - უძს, მისი ქალაქებით. სადაც ცხოვრება არ იყო სამოთხე, მაგრამ რომელიც იყო მტკიცედ აგებული ბუდეები ხალხის შემოქმედებისა, შემდეგ მისი რაინდობით, ქალის კულტით და სხვ. და სხვ., შეიძლება ბევრად უფრო სიმპათიური იყო ვიდრე ჩვენი ქვეყანა. იმ ქვეყანას ეკლესია მსინც აერთიებდა, სარწმუნოებრივი აღფრთოვანება, რომელმაც ჯვაროსანთა ომები შესაძლებელ - ჰყო, პირველად დიად იდეალიზმით ხელ - მძღვანილი, დღეს კი ამის ნაცვლად ერთა მიერ ერთი - ერთის მოსაპობის მისწრაფებას ვხედავთ, ცრუ ერთობის ქადაგებით და მლიქვნელობით, და, რაიცა საცესებით უიმედოდ - ჰყოფს განმცდელს ანა ქვეყნისა, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ქვეყანათა დაპყრობას, აიხრებასა და წამებას, მის მუქარას მთელი კულტურული კაცობრიობის წარხდენისა, აგრეთვე მისი ცრუ ქადაგებით, თითქოს სამოთხის დამყარება სურდეს ყველგან, სადაც მისი წითელი ჯარი და ჯალათები ფეხს დაადგინენ! და ამ მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებული და მთელ მსოფლიოში დასამკვიდრებლად განმზადებული ჯოჯოხეთის წინააღმდეგ არ არის არც ნამდვილი ძალა და არც ნამდვილი სურვილი ბრძოლისა იქ, სადაც ბოლშევიზმის მიერ ჯერ კიდევ დაუპყრობილ ერებს წარბოციტ ენუქრება საბჭოთა რუსეთით.

ტერმინი **rinascimento** (რენესანს) გაუგებრობას ჰბადებს: რა მოხდა დასავლეთ ევროპაში მუხუთმეტე საუკუნეში და შემდეგ? „ახლად შობა“ კულტურისა? რომელი კულტურისა? თუ ვისმე ჰკონია რომ მშინ ანტიური კულტურა „დაიბადა ახლად“, ეს დიდი შეცდომაა: ანტიური კულტურა მოკვდა და იგი აროდეს შობილა ახლად. მკვდრეთით მხოლოდ ქრისტე აღდგა ჩვენთვის, მაგრამ იგი ღმერთ - კაცი იყო, ხოლო არც კაცი, არც ური და არც მისი კულტურა მკვდრეთით აროდეს აღმდგარა. შესწავლა და შეთვისება ანტიური კულტურისა ამ ეპოქაში კი სრულიადაც არ არის ამ კულტურის ახლად შობა. — ან ტერმინი იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ ერთობ კულტურა იყო მკვდარი და ახლად იშვა? ესეც დიდი შეცდომაა. კულტურა იყო ამ ეპოქამდე ფეოდალური, სასუფალო საუკუნეთა კულტურა, და სწორედ ამ კულტურის განვითარება და აყვავება მუხუთმეტე საუკუნეში იყო ის, რასაც არასწორად „ახლად - შობას“ უწოდებენ, ქართულად კი მას



სწორად ვუწოდებთ ალ-ორ-ძინ-ებ-ას, ეს იყო სა-
უკუნეთა შენდევ ნაშობი კულტურა ფეოდალურ-
რიკულტურის მიერ, გაფერხნილი, რომლის ყვა-
ვილოვნება დიდ - ხანს იყო და ჩვენი საუკუნის
დამდეგს წარბდა. — მიუხედავად ანტიური კულ-
ტურის შეთვისებისა, იმ ნაშთების შესწავლით,
რომელიც მას დარჩა რომიოთვანი და საბერძნეთი-
გან და უფრო ბიზანტიაში მოიპოვებოდა, ალ-ორ-
ძინების არც ხელივინება, არც მეცნიერება და არც
ჰუმანიზმი ანტიური არ იყო, არამედ ახალი და-
სავლეთ - ევროპული. ლეონარდო - და - ვინჩი,
მიქელ - ანჯელო, რაფაელი, დიურერი და სხვა
დიდნი ხელოვანნი ანტიური ხელოვნების წამმაძ-
ველნი და უშუალო გამეჩობნი არ იყვნენ, არა-
მედ მათი ვენიოსურ - თარგინალური ხელოვნება
შეუძლებელია არსებულყოფილ გარეშე ქრისტიანო-
ბისა და ფეოდალური კულტურისა. დიდნი მო-
აზრენი და მეცნიერნი, რაგვანნიც იყვნენ გალი-
ლეი, ბრუნო, კოპერნიკუს და მრავალნი სხვანი,
სრულიად სხვა მოვლენა იყო, ვიდრე ბერძენთა
და რომაელთა მეცნიერნი და ფილოსოფოსნი. და
მათი ნააზრის, მათ აღმოჩენათა საფუძვლებზედ
შეიქმნა ახალი მეცნიერება და ფილოსოფია და-
სავლეთი ევროპისა, და სხვ. და სხვა.

ფეოდალური დასავლეთი ევროპა ერთი დიდი
კულტურული სფერო იყო, განსხვავებული რა-
გვარადაც ძველი, მისი წინამორბედი ანტიური
კულტურული სფეროსაგან, ისე სხვა, მის თანამე-
დროვე კულტურულ სფეროთაგან. ამ სფეროს
თვისი ინდივიდუალობა ჰქონდა, და ეს ინდივი-
დუალობა მას შერჩა საუკუნეთა განმავლობაში
მომხდარ, მრავალი მიზეზით გამოწვეულ ცვლი-
ლებათა. ისე რაგვარადაც ადამიანი იბადება, იზ-
რდება, იცვლება და სიკვდილამდე ცხოველ ინდი-
ვიდალ რჩება, ისე რაგვარადაც ერთი წარმოიშვის,
იზრდება, ვითარდება, იცვლება და მის წარბდო-
მამდე საზოგადოებრივ ინდივიდალ რჩება, ეგრე-
თვე ყოველი კულტურული სფერო ამავე ცხას
განვლის არსებობისა და ბოლოს განსაზღვრ-
ულ მიზეზთა გამო შეიძლება წარბდეს და მისი
ინდივიდუალობაც ჰქრება. ჩვენ ამ კულტურული
სფეროს ჰაერით ვსუნთქამდით, მით ვცოცხლობ-
დით სულიერად (არა ანტიური კულტურისა, რა-
იცა შეცდომით ზოგს ჰგონია), და, ქრება რა ეს
სფერო, ანუ, უკეთ ვთქვათ, განქრა რა იგი უკვე,
ჩვენ გვერთმევა სულიერი - ზნეობრივი წეს - რიგი,
რომლითაც ცხოვრება ტანჯვად და გაუგებრობად
იქცევა.

მეოცე საუკუნის დამდეგს, მრავალ ცვლილება-

თა გამო ფეოდალური კულტურის სფეროს ერთა
ცხოვრებაში, ეს კულტურული სფერო წარბდა.
ნგრევა ძველი კულტურისა და იწყო 1914 წელს
დაწყებული „მსოფლიო ომით“. თვით ომის
დროს განიხნდა მრავალი ახალი თვისება ევრო-
პიული კულტურული კაცისა, რომელიც აღარ
ჰგავდა ძველს, რომელიც ჰქონდა მოპოვებული
ძველი კულტურის კაცის სულს საუკუნეთა გან-
მავლობაში ცდით და დეწლით თვისი გაკეთილ-
შობილებებისათვის. ომის შემდეგ მოხდა გარღვევა
ძველ წარმოდგენათა სამართალზედ, სინიდიუსზედ,
ზნეობაზედ, რაინობაზედ, „ადამიანობაზედ“,
„ერთა შორის სოლიდარობაზედ“ და პატივის -
ცემისზედ და სხვ. ევროპის სულიერი - ზნეობრივი
წეს - რიგი დაიხვრა. მოხდა შემდეგ დიდი, გიგან-
ტური ცდა ამ წეს - რიგის კვლავ დასამყარებლად,
ევროპის კულტურის გადასარჩინად. მაგრამ თუ
ამ ცდას შეიძლება უმკაცრესა კრიტიკა გაეწიოს
მცდელთა შეცდომათა გამო, ეს შეცდომები არ
იყო მიზეზი მეორე მსოფლიო ომით და მის შემ-
დეგ მომხდარი საქმეებით ევროპის ძველი სული-
ერი - ზნეობრივი წეს - რიგის სრული დახვრევი-
სა და ამით ძველი ეპოქის დასრულებისა, არამედ
ის, რომ რასაც ცხოვრების ვადა გაუფიდა, იგი გა-
რდიდა, წარბდა, და მას ახალს, რაც მოდის, შე-
იძლება სხვა, ჭიანჭველის უბიროვნებით ცხოვრე-
ბის მსურვილი, უცნაური ზნეობისა და „ადამიან-
ობის“ მქონე კაცო შეუჩოვდეს, ჩვენ კი ვერ, ვერ-
ოდეს, ვითარცა ძველ კულტურულ სფეროში და-
ბადებულნი და აღზრდილნი. რაც ძველმა ახალს
უზარ - მაზარი მემკვიდრეობა დაუტოვა, მას ახა-
ლი გარდაქმნის. გამოიყენებს, რაგვარადაც ახლა
ჩანს, ბევრს რასმე უფრო ბოროტად ვიდრე კეთი-
ლად, მაგრამ სული ახლისა ისე აღარ ეგვანება
სულს ძველისა, რაგვარადაც ფეოდალური ევრო-
პის სული საბერძნეთ - რომისას არ ჰგვანდა...

დასავლეთი ევროპის კულტურული სფერო მის
ერთა კულტურული შემოქმედებით იყო შექმ-
ნილი, ერთი - ერთისადმი გარდაცემით და მათ
მიერ შეთვისებით გარდანაცემისა. მაგრამ გარდა-
ნაცემს შექმნა უნდა და შეთვისებულს გარდაქმ-
ნა და შემატება ღირებულებათა, რომ იგი შემდეგ
გახდეს საერთო კეთვისილესად ერთა. და აქ გვეშ-
ლება თვალ - წინ სურათი დასავლეთი ევროპის
ერთა ინდივიდუალური, ეროვნული შემოქმედე-
ბისა: მაგ. პროვანსალური სარაინდო სამიჯნურო
პოეზია შექმნილი იყო პროვანსის ერის მიერ, რო-
მელიც საშუალო საუკუნეებში ერთი იყო, თვისი
ეროვნული, პროვანსალური ენით. არაბული გავ



ლენა აქ არაფერ შუაშია. არაბთა მწერლობამ, სა-
მიჯნურთადაც, თვით ესპანისის მწერლობაზედ ვერ
მოახდინა გავლენა, მიუხედავად იმისა რომ არა-
ხები ესპანიაში იყვნენ, და ესპანურის მწერლობისა
უაღრესად „ეროვნულად“ განვიხარდა. ესპანური
მწერლობაზედ თვით პროვანსალურსაც არ ჰქო-
ნია ისეთი გავლენა, რომ მიმართულემა მიეცა
რომელიმე მისი დარჯისათვის, ხოლო პროვანსა-
ლურის მსგავსება დიდი იყო გერმანულ მწერ-
ლობასთან იმავე რიგისა; ვალტერ-ფონ-დერ-ფო-
გელვადე იყო გერმანელი შვეიცარი, ეროვნული
შემოქმედი, სულ ერთია, წარმოიშვა გერმანელ-
თა მინდუნებერობა პროვანსალური სამიჯნურთა
მწერლობის გავლენით თუ ადგილობრივი რაინ-
დობისა და ქალის კულტის ნიადაგზედ. — თქმუ-
ლებანი „ბარსივალისა“ და „ტროსტან და იხოლ-
დისა“ კელტურნი არიან, საფრანგეთში პროვანსად
შენახულნი, ხოლო იგივე თქმულებანი, ლექსად
ნათქვამნი გერმანულ ვოლფრამ ეშენბახელისა და
გოტფრიდ შტრასბურგელის მიერ წმიდა გერმან-
ულნი შემონაქმედნი არიან სამთუალო საუკუნე-
თა, და ნიბელუნგების თქმულება ზომი წმიდა გერ-
მანული შემოქმედება. — დანტემ წმიდა იტალი-
ურ სულიერ სფეროში დასწერა თავისი უცვდავი
„სალმრთო კომედია“ განსაწმედელად ადამიანის
სულისა, ხოლო აქაც „მიცემისა“ და „მოდების“
თეორეტიკოსები რაღაც უცხო „გავლენას“ ეძე-
ბენ ამ დიდ განმარტებელზედ, მაგ. ესპანელი მწერ-
რალი მიგუელ აზინ პალასიოს „მუსულმანური
ქსახატოლოგიის“ გავლენას. დანტეს კი ნამდვი-
ლად არაფერი არ „მოუღია“ არაბული მწერ-
ლობითგან, არამედ მისნი წარმოადგენანი, მისტი-
კა და სხვა ნამდვილნი ქრისტიანულნი არიან სა-
შუალო საუკუნეთა, და შემდეგაც იტალიური
მწერლობა თვისი ეროვნული გზით მიდიოდა. —
დიად — იგივე ითქვინ ესპანურ მწერლობაზედ,
რომლის უდიდესნი წარმომადგენელნი არიან სერ-
ვანტესი, ლოპე-დერ-ვეგა, კალდერონი, დიდნი სწო-
რედ მათი ეროვნული შემოქმედებითი ნიჭით.
— საფრანგეთში ჩვენ ეხედავთ რაბლე, მონტენს,
ულრესად ფრანგ ეროვნულ მწერლებს, შე-
მდეგ დიდ რიგს დიდ მწერალთა მოაქერხმდე და
ვოლტერამდე, და სხვ., ერთობ დიდებულ ფრან-
გულ მწერლობას, რომელსაც თვით მოუხედენია
უცხოზედ მეტი „გავლენა“ ვიდრე უცხოთგან გა-
ნუცდა. — ინგლისელთაგან კმარა დასახელება
ჯერ ჩოსერისა და შემდეგ შექსპირისა იმის წარ-
მოსადგენად, თუ რა ხარისხს მიაღწია ინგლისელ-
თა წმიდა ეროვნულმა შემოქმედებამ მწერლობა-

ში. — გერმანული მწერლობა უფრო გვიან გან-
ვითარდა, მან „გავლენაც“ დიდი განიცადა უცხო,
მაგრამ ეროვნულმა გენიოსობამ ესეც გააძლია
და შილერნი, ჰოლდერლინი და სხვანი, და ბო-
ლოს ბუმბერაზი გოეთე, მაჩვენებელნი არიან გერ-
მანიის ერის გენიალური შემოქმედებითი ნი-
ჭისა, და არა უცხო გავლენის ქვეშ მწერალნი. —
რასაკვირველია, სრულიად „უგავლენოდ“ უც-
ხოს მიერ არც ერთი თვით გენიოსიც არ აზროვნ-
ობს და არ ჰქმნის, მაგრამ მათ შემონაქმედთა
დიდ ღირებულებას ეს გავლენა კი არ ჰქმნის, არა-
მედ მათი გენია. „გავლენა“ სწავლითგან, შეთვი-
სებითგან მოდის, ხოლო მარტო სწავლული, შე-
მთვისებელი, რაც უნდა ცოდნითა და განათლე-
ბით იყოფა აღჭურვილი, დიდა რასმე ევროპულს შე-
ჰქმნის, თუ მისი სული არ არის შემოქმედი, თუ
მის ერს, სისხლს არ მიუცია მისთვის ეს ღვათებრი-
ვი ძალა. — აღორძინების ხანის იტალიელი მხატვ-
რების გენიოსური შემოქმედება არაბიზანტიურ
გავლენას შესაძლებელ - უყვია, არამედ ეს შე-
მოქმედება იტალიელ გენიოსთაგან მოდიოდა, —
იგი იტალიური იყო, სრულიად განსხვავებული
ბიზანტიურისაგან. და რომელი კლთხითგან ევრო-
პისა არ მოდიოდენ ხელოვანი სწავლად ამ
ღვათებრივი ხელოვნებისა, და ერთობ იტალიურ-
ი ხელოვნებისა? მაგრამ განვლო უამბა და ყვე-
ლგან ევროპაში სხვა ხელოვნება შეიქმნა, — ეს-
პანიაში ესპანური, საფრანგეთში ფრანგული,
გერმანთა ქვეყნებში გერმანული, ყველგან ეროვნ-
ული, განსხვავებული იტალიურისაგან, მიუხედა-
ვად ამ უკანასკნელის გავლენისა. დიდმა მეცნი-
ერმა ხელოვნებისა ვოლფლინმა მაგ. განსხვავება
იტალიური მხატვრობისა გერმანულითგან მით
განითქვა, რომ თუ პირველის არსებითი თვისება
ხაზთა სიდიადეა, ნეორესი „მხატვრულობაა“, და
სხვ. — და ყოველ დარჯს კულტურისა ევროპაში
ოდეს განვიხილავთ, ყველგან ეხედავთ დემონს
ეროვნული შემოქმედებისა, რომელიც უცხოს
ითყუებს, მაგრამ გარდაქმნის და თვითაც ახალს
ჰქმნის, ეროვნულს, ინდივიდუალურს, რასაც ერო-
ის განცდათა საღრმეში აქვს ძირი. რა ძალა ამო-
ქმედება მაგ. მიქელ-ანჯელოს, თუმცა ნასწავლს
და ბევრის უცხოს მცოდნეს, როდესაც იგი ჰქმნიდა
მას, რასაც მიქელ - ანჯელოს შემოქმედებად ვხე-
დავთ? ან დანტეს, როდესაც იგი თვის „სალმრთო
კომედიას“ სწერდა? ან რუსთაველს, როდესაც იგი
„ვეფხისტყაოსანს“ ჰქმნიდა? რომელი ერის
მუსიკაზედ არ ჰქონია გავლენა იტალიურ მუსი-
კას? მაგრამ ბოლოს ჩვენ ეხედავთ უაღრესად ერო-

ოცნებულ მუშაკათ, — ფრანგულს მისი წარმომადგენლებით გუნთით, ბერლიოზით, ბიზეთი და სხვ., გერმანულს მისი ბუმბერაზებით ბახით, ბეთპოვენით, ვაგენერიით, რომელშიც ორი გენიოსი იყო, მუსიკალური და პოეტური, ერთად შეთხზული, და სხვ.. ყოველი ერთ თავისებურად მღერის და გალობს და სხვა ჰანგებსაც ხომ თავისებურად გარდაქმნის... — ევროპის ერთა წილში გაჩნდა ძალა უნივერსალური ეკლესიის და მის დოგმათა განმარტვევი და ინგლისში ვიკლეფმა და სხვებმა თავისუფალ ჰყვეს ერთ მათგან, შენდევ კალვინმა, ლუთერმა და სხვათა იგივე საქმე ჰქმნეს და შექმნეს ეკლესიები, დამოუკიდებელი რომისაგან, ქრისტიანობის სხვა ვაგებით. და განთავისუფლებულმა საულმა ევროპის ერთა, კათოლიკურ თუ პროტესტანტულ ქვეყნებში, წარმოშვა დასავლეთი ევროპის ე. წ. „ნოდურული“ მეცნიერება და ფილოსოფია, კვლევისა და აზროვნების გიგანტთაგან შექმნილი, რომლითაც ახლა ვამაყოფთ, და სხვ. და ამას ყოველს ეროვნული ბეჭედი აზის; ოღონდ მეცნიერებასაც კი!...

მეცნიერმა თავისი კვლევისა და დაფასების დროს სხვა და სხვა ერთა კულტურათა სწორი ანალიზი უნდა ჰქმნას მათი. ნასწავლს და შეთვისებულს ის როლი უნდა მიანიჭოს, რაც მას ეკუთვნის, აროდეს მეტი. ხოლო ერთს მიერ შექმნილს, ახალს (განსაზღვრულ გარემოცულობაში, სხვა ერებთან ურთი - ერთობის სფეროში) თვით ერთს გენიში უნდა უძებნოს წყარო. გაიგოს ეს ზენიოსობა და დაფასოს იგი ვითარცა შემოქმედებითი ძალა. ბევრ მეცნიერს ეს არა ძალ - უძა, არც სურს (რადმე მიზეზით): მაგ. ზოგიერთი ენათმეცნიერი ნახავს ერთ ენაში უცხო სიტყვებს და მაშინვე დაასკვნის: ამ ენით მეტყველ ერს მერაქ „მისცემდა“ (მულამაც!), იგი (ყოველთვისაც) „მიიღებდა“, მამასადამე „მიმცემი“ დიდო შემოქმედების მჭონე ერთა, „მიმღები“ ნაკლებისა, და სხვ. — ნამდვილად კი არ არსებობს ენა, სადაც უცხო სიტყვები ან სხვა ელემენტები არ იყოს. განსაკუთრებით სიტყვები „მოგზაურობენ“, მენდიან ერთი ენითგან მეორეში, და „მიმცემის“ ენაც ისევეა საფხე სხვა უცხო ელემენტებით, რაგვარადაც „მიმღებისა“. არაფერს ეს მოვლენა არ ამტკიცებს, არც „მიმცემის“ განსაკუთრებულნიჭს და არც „მიმღების უნიჭობას! ეს ჩანს ენათა ლექსიკითგან, რომლის განხილვის შემდეგ ათასი მაგალითის აღნიშნვა შეიძლებოდა! — ან და რომელიმე არქეოლოგი ნახავს სადმე უცხო კულტურის ნაშთებს და მთელ დიდ კულტურას,

შექმნილს ერთს მიერ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ამ ნაშთითგან „დამოუკიდებულად“ აცხადებს, თითქოს თვით ერს თავის - თავად შემდეგ არაფერი ახალი, ინდივიდუალური არ შეექმნას! — ეს თეორეტიკოსები „მიცემისა“ და „მიღებისა“ ხან და ხან უდიდეს აბსურდაც კადნიერებით წამოიხვიან ხოლმე; ერთმა არა - ინდოგერმანელმა „დიდებულნი დასკვნა“ გააკეთა თავის კვლევათაგან, — ინდო - გერმანელებს არსად და აროდეს „დამოუკიდებლად“ კულტურა არ შეუქმნიათ, რათგანაც ყველგან მათ კულტურაში არა - ინდო-გერმანული ელემენტებისაო! თითქოს „ინდო-გერმანული“, შექმნილი მათ მიერ ათასეულთა განმავლობაში, არ არსებობდეს! ჩვენ მეტს ვიტყვით, — რომც არ ეხილათ ინდო-გერმანელთ აროდეს არც სემიელები და არც სხვანი, ინდოეთისა, ირანის, საბერძნეთის და სხვა ინდო-გერმანელები „დამოუკიდებლად“ იაზროვნებდენ და შექმნიდენ მათ განსაცვიფრებელ საბჭუმუნებებს, ფილოსოფიას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ათასჯერ მეტი ღირებულების მქონეს, ვიდრე ამ არა - ინდოგერმანელთა შემონაქმედი იყო!..

კულტურული შემოქმედება ადამიანმა მრავალ ათასეულთა წინათ დააწყო, მართლ - საჩინოდ დედა - მიწის ზურგის სხვა და სხვა ადგილს. ყოველი შექმნილი ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი საგან რასაკვირველია გადაეცემოდა მეორეს, რაოდენადაც მათ შორის მიმოსლვა და ურთი - ერთობა იყო. მაგრამ ყოველი ჯგუფი შენაქმს და ნასწავლს თავის მიერ შექმნილს უმატებდა და ამით იზრდებოდა და რთულდებოდა ერთობ კულტურა ადამიანისა. ეს მოვლენა იმ უხსოვარ დროთაგან დაწყებული დღემდე მუდმივია, ხდებოდა რა კულტურულად თან და თან უმაღლესს ხარისხს მიხწეულ ერთა შორის მიმოსლვა და ურთი - ერთობა უფრო და უფრო სწრაფად და განუწყვეტლად. და თუ „მიცემა“ და „მიღება“ დღეს უმოკლესი დროის განმავლობაში ხდება, ვიდრე ოდესმე ხდებოდა, „მიმცემიც“ თვით ჰქმნის, რომ სხვასაც, სხვა ერებსაც, მთელ კაცობრიობასაც „მისცეს“, და „მიმღებაც“ „მიცემულზედ“ თავისი ნამოქმედარის დართვით აგრეთვე „მიმცემი“ ხდება. დღეს ყველა „მიმცემია“ და ყველა „მიმღები“, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ამით იზრდება კულტურა, ხოლო ძველის ზედი - ნართავს, ახალს, ერთ ჰქმნის და მისი ნიჭიც მით დაფასდეს, თუ რა ჰქმნის იგი და რაგვარს. **მ. წერეთელი**
(დასასრული იქმნება)



ქ ე ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა

„სამრავლი ლეგენდებითა და გადმოცემებით ამკობენ და აღამაზებენ მორწმუნენი ყოველ ნაშთს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია იესოს სახელთან, მის სიცოცხლესა და აღსრულებასთან.“

მითიური შარავანდელით მოსავენ და ასე აგრცულებენ მას ერთგულთა შორის. ამბავებენ და ანმტკიცებენ სხვა და სხვა რიტუალებითა და ცერემონიებით, რომ სარწმუნოებრივ აღმ.ფრენას დაუშკვიდრონ ურყევი და მარადი აჩქებობა.

ერთ მთავარ ინტერესის საგანს ძველთაგანვე წარმოადგენდა ისტორია ქრისტეს ჯვარისა, ჯვარის, რომელიც იქმნა წამებული მაცხოვარი.

უხვრ და მდიდარი საღმრთლო ქრისტეს ჯვარის შესახებ გადმოცემებისა და ლეგენდებისა აღმოსავლეთი იყო. ხოლო დასავლეთში აღმოსავლეთის სიძლიერით გავრცელდა ის მსა შემდეგ, როდესაც დასავლეთი შევიდა აღმოსავლეთთან კავშირში — ჯვაროსნობის დროს.

საქართველო აღმოსავლეთთან იყო დაკავშირებული პოლიტიკურადაც და სარწმუნოებრივადაც. იმ დროს აღმოსავლეთში ის იყო ერთი უპირველესი ქრისტიანე ქვეყანა. მაშინდელი ქართველები მუდამ გამოდიოდნენ დიდ მონაბეგდ და ჭირისუფლად ქრისტიანობისა, ამიტომ ჩვენს ქვეყანას არ ასცდებოდა ამ გადმოცემათა და ლეგენდათა კვალი. ქრისტეს კვართიც ხომ ქართველებრავლთ ერგოთ წილად. რომელიც მცხეთაში მოიტანეს. ასევე ქრისტეს ჯვარის ამბავმაც საქართველოში საპატიო ადგილი დაიჭირა.

გადმოცემით, არაბთაგან შევიწროებული ქრისტიანები მოულოდენ ქრისტეს ჯვარის განადგურებას. ამიტომ მათ ის დაანაწილეს და დაარიგეს სხვა და სხვ ქრისტიანულ ქვეყნებში. ამ ნაწილებიდან იქმნა გაკეთებული პატარა ჯვრები. ერთი ასეთი ჯვარი რგებთა ქართველთა პატრიარქს და მეორე ქართველ მეფეს. ამ უკანასკნელის ისტორიას ვეხებით აქ.

აღნიშნული ჯვარის შესახებ ქართულ წყაროებში ბევრი არაფერია შენონახული. სამაგიეროდ ევროპულ მწერლობაში შენახული მასალებით, რომელიც შესწავლა ქართველმა მეცნიერმა ზ. ავალიშვილმა, ზოგიერთი რამ იქმნა გამოჩვენებული.

მიუხედავად კვლავ ზოგიერთი ეჭვებისა და პიპოტივებისა, ერთი რამ მაინც ცხადი ხდება, რომ ერთი ამ ჯვართაგანი, რომელიც ეკუთვნოდა ქართველ მეფეთა ოჯახს — აღმოჩნდა იერუსალიმში.

ისტორიიდან ვიცით ბუნდოვნათ, რომ დავით აღმაშენებელის პირველი ცოლი, ქმრის სიცოცხლეშივე მოლოზნად აღკვეცილა და იერუსალიმში წასულა... შემდეგ მეფე დავითი სინანულს გამოსთქვამდა თავისი ახალგაზრდობის ერთი შეცოდების გამო; და ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ეს შეცოდება შეეხებოდა მის განქორწინებას, რომელიც მეფეს ჩაუდენია პოლიტიკური მიზნით. ხოლო შვირთო ყიფიყათა მეფის ასული. დაუკავშირდა მათ, გადმოიყვანა ყიფიყეთიდან 40.000 მცომარი და შეადგინა მუდმივი ჯარი, რომელმაც საქართველოს განთავისუფლებისა და გაძლიერების საქმეში დიდი როლი აღასრულა. ასეთი დიდი ეროვნული საქმისათვის გასწირა მეფემ ნეუღლე და ამ მძიმე გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა ერთუქებინა დედოფლისათვის ის ჯვარი, რომელიც სამეფო ოჯახის ერთ ყველაზედ ძვირფას განძად ითვლებოდა.

ასე უნდა მისულიყო „ქართული“ ჯვარი იერუსალიმში.

1099 წ. ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და იქ ფრანგთა სამეფო დააარსეს.

1109 წ. წმ. საფლავის კანტორმა ანსელუსმა შეიძინა აღნიშნული ჯვარი და გამოუგზავნა პარიზის არქივებისკომის გალონს, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისათვის საჩუქრად (ნოტრ დამ დე პარი). ანსელუსი, გალონისადმი მიწერილ წერილში ან ამბავს ასე გადმოგვცემს: როდესაც ქართველთა დედოფალი იერუსალიმში მოვიდა, მან თან მოიტანა დიდძალი ქონება, ოქრო და ვერცხლი. ურიგებდა და ეხმარებოდა ეკლესია - მონასტრებს. როდესაც მას ქონება გამოეღია და მისი მონასტერიც გასაჭირში ჩავარდა, სხვა ღონე აღარ ჰქონდა, რომ ეს ყოველად დაუფასებელი ჯვარი ფასად ექცია. „ამ რიგად ის ძელი, არავითარი ფასის შესაღარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა თქვენ გოგზავნითო“, სწერდა ანსელუსი გალონს..

ჯვარი რომ პარიზს მოუახლოვდა, მაშინ გალონი სასულიერო კრებით მიეგება ჯვარს ფონტენეში და იქიდან ჯერ მოსავენეს სენ კლუს ეკლესიაში. ეს იყო პარასკევი, 30 ივლისი, 1109 წელი; ხოლო პირველ აგვისტოს მოს დასანლის ეპისკოპოსთა მონაწილეობით და დიდძალი ხალხის თანდასწრებით, დიდის ზენით ნიიტანეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. იმ დროისათვის ეს იყო ერთი უდიდესი მოვლენა და უძვირფას-

ესი შენაძენი ღვთისმშობლის ტაძრისათვის და სამღვდელთაგანც იამაყებდა რომ თავის მრევლი ასეთი ძვირფასი საგნის ხილვის ღირსი გახადო.

საყოფადღებოა ჯვარის შემდეგი ისტორია. იმ დროს ღვთისმშობლის ტაძარი დღევანდელი სახით არ არსებობდა, მაგრამ მის ადგილას მდგომ ბაზილიკას უკვე დიდი წარსული პქონდა. დღევანდელი ტაძარი 1200 წლებში დაუმთავრებიათ. ამ ტაძრის ზრდასა და დამშვენებაში, უდაოდ აღნიშნულმა ჯვარმაც დიდი როლი ითამაშა.

ჯვარის მოტანის შემდეგ დაწესებულ იქმნა ყოველწლიური დღესასწაული ივნისის მეორე ოთხშაბათს, სენ დენისის ეკლზედ. აღმოსავლეთიდან მოტანილ ჯვარს აღმართავდენ ამ ეკლზედგამრიოდს ეპისკოპოსი, სამღვდელთა და ხალხი და იმართებოდა სასიხანულლო პრაოქესია. სრულდებოდა ლოცვები და ცალობა. იქვე იყო აღმართული ტრიბუნა, საიდანაც ქადაგობდა ეპისკოპოსი და მეორე ხალხს დალოცავდა. ჯერ აღმოსავლეთისკენ ნიშართავდა, საიდანაც მოდიოდა ჯვარი, და მეორე სამხრეთისაკენ—სადაც იყო პარიზი.

თანახმად დაცული საბუთებისა, მეთორმეტე საუკუნეში ეს ტრადიცია უცვლელად ყოფილა შენახული. საბუთებიდან ისიცსჩანს, რომ ამ პროცესიაში მონაწილეობას იღებდა პარიზის ძველი სასამართლო - პარლამენტი და პარიზის უნივერსიტეტიც.

შეთუთხმეტე საუკუნის ბოლომდე პარიზს უცვლელად შეუნახავს ეს ტრადიცია, ხოლო მეორე ნელ-ნელა ის დავიწყებას მისცემია. მაგრამ ჯვარი ითვლებოდა მუდამ დიდ საუნჯედ და ინახებოდა ტაძრის საგანძურში.

ჩვენს დროსაც პარიზის ეკლესია მისი მიღების დღეს აგვისტოს პირველ კვირას იხსენიებს.

682 წელი ეს ჯვარი ინახებოდა ღვთისმშობლის ტაძარში. რევოლუციის დროს მასაც უბედურება დაატყდა თავს. 1793 წელს ის გაუძარცვიათ ძვირფასი სამკაულებისაგან და მეორე, როგორც შემდეგი, მთავრობის განოძიებანი ამტკიცებენ, განსაცდელის თავიდან ასაცილებლად ჯვარი ორად გაუყვიათ. ერთი ნაწილი შეუნახავს საუნჯის გამგეს და მეორე წაუღია კომუნის მიერ დადგენილი კომისიის წევრს (მორწმუნეს). უკანასკნელისაგან ამ კაცს 4 ჯვარი გაუკეთებია, აქედან სამი ისევ ეკლესიას დაუბრუნა, როცა დევნა შეწყდა. როდესაც ეპისკოპოსმა მისი იგივეობა დაადასტურა, 1804 წელს, ის ხელახლად ყოფილა გამოაფენილი მორწმუნეთათვის.

შემდეგ ეს ჯვარი მოხსენებულა 1828 წლის აღწერილობაშიც. რაკი დროთა ბრუნვის გამო ამ ჯვარებში ეჭვი ეპარებოდათ, მას დაუმატეს ქრისტეს „მეორე“ ჯვრის ერთი ნაწილი, იმ ჯვარის, რომელიც ბოდუან ნეორქემ 1241 წელს მიართვა ლუი მეთერთმეტეს იერუსალიმიდან. და ამით აღნიშნული ნაწილი კვლავ იქცა ეჭვ-მიუტანელ ნაწილად ქრისტეს ჯვარისა.

ასეთია მოკლე თავგადასავალი „ქართული“ ჯვარისა, რომელიც ერთი უძველესი ტრადიციაა და რომელმაც საფრანგეთ - საქართველოს მორჩის დასატოვა წარუხოცელი კვალი მოგონებათა.

სწორედ ნას შემდეგ, როდესაც დაიწყო საფრანგეთში ჯვარის ტრადიციების დაცემა, დაეცა საქართველოც. და თუ საფრანგეთმა მიივიწყა მისი ტრადიცია, ერთ ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაბურობილ საქართველოს როგორ შეეძლებოდა მისი ვახსენება...

1955 წ. როდესაც პარიზში დაარსდა ქართველ კათოლიკეთს ეკლესია, მათი აღმატებულების, კარდინალ ტისერანის, კარდინალ ფელტენის და ეპისკ. რუპპის დახმარებით, ქართველ კათოლიკეთს მრევლსა და მისი მოძღვრის მამა მეორეტის ინიციატივით კიდევ ერთხელ განახლდა უძველესი ტრადიცია წმიდა ჯვარისა.

სწორედ პარიზში დაიმაგე ღვთისმშობლის ტაძარში, 24 ივნისს 1955 წელს შესრულებული იქმნა მოგონება ამ ძველი და აწ მივიწყებული ტრადიციისა. ცერემონიას დაესწრო დიდძალი საზოგადოება: ქართველები, ფრანგები, უკრაინელები და კიდევ სხვები.. აქ იყო მოწვეული საგანგებოდ ქართული გუნდი, რომელიც ასრულებდა ქართულ გალობებს.

ამ დღეს ქართველთა და ფრანგთა თვალში გაიღვიძა მათი საერთო საუკუნოებრივი ტრადიციის ხსოვნა და მან პირველმა მისცა საშუალება ქართველებს, რომ პირველად მთელი ისტორიის განმავლობაში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ქართული გალობა შეესრულებინათ.

ესა ბრწყინვალე დღე წარუხოცელი დარჩება პარიზის ქართველთა ხსოვნაში, რადგან ყოფილა კიდევ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი, მოსულ წარსულში, რომელიც საფრანგეთ - საქართველოს სახელებს ერთმანეთს უკავშირებდა. ხოლო ამ ტრადიციის განახლება და მისი ყოველწლიური განმეორება ქართველთა ინიციატივით ახალსაციკროცხლო გზას გაუხსნის ისედაც თბილ ურთიერთობას ამ ორი ქრისტიანი ერისა.

ალ. მანველიშვილი

რუსეთი არ არის მგროვა

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც მთელი რუსეთი, არ ეკუთვნის დასავლეთს არც პოლიტიკურად და არც სულიერად. მართალია, ის დღეს იმყოფება თვით ევროპის შუა გულში, მაგრამ ის მაინც ამით არ იქცევა დასავლეთის ქვეყნად. მის აქ ყოფნას მიმედ ვანიცდინ ევროპელები და თვითაც უცხოელ გრძობს თავს ამ უცხო მიწაზე. არ არსებობს საერთო საზოგადო რუსთა და ევროპიელს შორის. ძირითადი ვასხევაება მათ შორის, რომელიც შექმნა ისტორიამ, უცვლელი რჩება, მიუხედავად გავეროპიელების ზოგიერთი სპორადიული ცდისა; ის კიდევ მწვავედ და ღრმადღება ბოლშევიზმით: საბჭოთა ადამიანი ყოველდღე უფრო და უფრო მეტად სცილდება თავის მეზობელ ევროპელებს.

გეოპოლიტიკა და ფსიქოლოგია ერთად მას ანიჭებენ ორიგინალურ ადგილს მსოფლიოში, რომელიც უფრო აზიურია ვიდრე ევროპიული.

საბჭოთა კავშირის ფიზიკური სტრუქტურის დამახასიათებელია უდაოდ, მისი ტერიტორიული სიდიდე, კონტინენტალური და ჩაკეტილი ხასიათი.

საბჭოთა კავშირს უკავია ერთი მეექვსედი ხმელეთისა. ეს არის ყველაზე დიდი სივრცე, რომელიც იმყოფება ერთი მთავრობის მმართველობის ქვეშ...

ეს უზარმაზარი ტერიტორია არის ისევე მთლიანი და ერთფეროვანი, როგორც ევროპა დანაწილებული და მრავალფეროვანი... ან სიდიდისა და ერთფეროვნების ხასიათმა იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის პოლიტიკურ ბედზე. უდაოა, რომ მან ხელი შეუწყო ოტორიტარულ კონცეპციას და მიდრეკილებას მოსკოვის იმპერიისა. „შეიძლება ითქვას, აღნიშნავს ამის შესახებ ბერდიაევი, რუსეთის ხალხი მახევრალია მისი ქვეყნის ტერიტორიის სიდიდისა, რომელსაც ისტორიკოსები ხშირად სთვლიან შიხუნად რუსეთის ხელისუფლების მუდმივი დესპოტიური ხასიათისა; ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ისტორიკოსთა შორის, კლიუჩევსკი სწერდა: „სახელმწიფო გაიბერა და ხალხი დაიღუპა.“ ეს ფორმულა შეეფერება ბოლშევიკურ რუსეთსაც, სადაც

ხალხის ინტერესები ეწირებიან სახელმწიფოს სიძლიერეს და მის ორგანიზაციას.“¹⁾

მაგრამ ყველაზე სახიფათო არის ის, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანა იკუმშება თავის სხეულში და შეგნებულად ზურგს აქცევს დასავლეთს. საზღვაო საზღვრები ხელს უწყობენ ამ კარჩაკეტილობას. მართლაც რუსეთს გააჩნია 16.000 კილ. სანაპიროები, კასპიის ზღვის გამორიცხვით — 21.236.000 კ.კ. სივრცისათვის და კიდევ მეტიც, ეს სანაპიროებიც ეკუთვნის დასავლეთ ზღვებს, რომელთა გასაღლს ჰვლობენ უცხო სახელმწიფოები. ან და ოკეანეთ, რომელიც მეტ წილად არიან გაყინულნი. **ბ. ბერპილუ** ორი სიტყვაში გამოსხატავს ამ მდგომარეობას: „საბჭოთა კავშირი არის ტყვე ხმელეთისაო.“²⁾

სწორედ ეს ჩაკეტილობა მისცემს საშუალებას მომავალში მოსკოვის დესპოტებს, უზრუნველყონ რუსეთის იზოლიაცია და ის გახადონ თავისთავი პოლიტიკის ერთ მთავარ ფუძედ.

მართალია პეტრე დიდმა შეაღო დასავლეთის კარები, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ესარგებლა და გადმოეღო დასავლეთის ტენიკისა და იდეების მიღწევები რუსეთის სახელმწიფოს განვითარებისათვის. „ევროპა, ამბობდა ის, ჩვენ გვჭირდება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, შენდევ კი საჭიროა ზურგის შექცევა“-ო.

იზოლიაცია იქცა სულშემხუთავი, როგორც კი იგრძნო ის რუსეთმა. ცლამ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად მიიღო ორი მიზართულებსა. პირველი უმიზნებდა შინაგანი არეს დაპყრობას. ჩამწყვდეულნი ხმელეთში, რუსებს საჭირდათ, თავისთავი ხელისუფლება გავრცელებულიყო მათი საპყრობილის კედლებამდე. ეს ექსპანსია მეფეებმა განახორციელეს ტერიტორიული დაპყრობითა და აგრესიური კოლონიზაციის ფორმით. ამ გზით ისინი შევიდნენ არა მარტო უკრაინაში, არამედ ციმბირშიც, ამნაირად რუსეთი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა აზიურ კონტინენტს.

რუსეთის მიდრეკილება აღმოსავლეთისაკენ არ ახალია. ის იწყება მე-16-ე საუკუნის ბოლოში, ირტირის ბასენის დაპყრობით ციმბირში. პეტრე დიდის მიერ კამპატკის ანექსია უხსნის ციმბირს

1) ნაწყვეტი ავტორის წერილიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო ფრ. ჟურნალში: „მონდ ნუვო“ № 89-90-1955 წ. სათაურით: „საბჭოთა კავშირი და ევროპა.“

1) Berdiaev. Les sources et le sens du communisme russe.
2) Preface au livre de G. Jorré, L'URSS, la terre et les hommes. 1946.

გზასა შორეული აღმ. ზღვებისაკენ. ნიკოლოზ პირველმა გააფართოვა წყნარი ოკეანის ნაპირები მდ. ამტურის მოსაზღვრე, ჩინეთის მიერ დათმობილ ტერიტორიების დაკავებით. 1860 წ. იაპონიის კარიბჭესთან არსდება სამხედრო ნავთსადგური— ვლადივოსტოკი. დაბოლოს, 1881 წელს თურქესტანის დაპყრობით რუსეთი ამყარებს თავის პოლიტიკურ კონტროლს შთელს ევრაზიაზედ.

„1939 წლის აგვისტოში, შენიშნავს ემ. ბურნამი, მეტკვიდრენი რუსეთის იმპერიისა — ჰვლოზბდენ, რასაც გეოპოლიტიკოსები უწოდებენ „დედა მიწის გულს“, ანუ „მსოფლიო კუნძულს“...3) პირველად ისტორიაში, „გული დედამიწისა“ შეიკრავდა მოზრდილ მოსახლეობას, თავისი პოლიტიკური ორგანიზაციითა და მნიშვნელოვანი ინდუსტრიით.“

რევოლუციის შედეგად ამ მხარის ინდუსტრიალიზაცია საბჭ. კავშირს აიძულებს უფრო გარკვეულად დაადგეს აღმოსავლეთის გზას, თავისი ეკონომიური ბაზების იქ გადატანით. „სწორედ ეს არის, სწერს ერთი სპეციალისტი აღმოსავლეთის პრობლემათა, უდაოდ ერთი დიდი მოვლენათაგან ჩვენი საუკუნისა, ერთი ყველაზე დიდი კონცენტრაცია ინდუსტრიისა იქმნება ყველაზედ მჭიდროდ დასახლებულ კონტინენტის შუაგულში... სტრატეგიული შედეგები ამ ევოლუციისა ნათელია. მისი პოლიტიკური შედეგები უკვე ისახებთან და შესაძლებელია ის წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში გადამწყვეტ გარდატეხას.“4)

მაგრამ ერთსა და იმავე დროს ამ „ღრანგ ნახოსტენ“-თან. რუსეთი, იზოლიაციისაგან თავის დასაღწევად, პირს იბრუნებდა ზოლმე დასავლეთისაკენ, შავი ზღვის, ბალტიის და პოლონეთის მიმართულებით.

მთელი დრამა რუსიის სულისა ამ დეჰალიზმშია. ეს ხალხი გაყოფილია ამ ორ მიდრეკილებათ. ერთი მიილტვის ღრმად აზიისაკენ. მეორე კი მისწრაფვის ვიწრო თანამშრომლობისაკენ დასავლეთის მთლიან ცივილიზაციასთან. მე-19-ე საუკუნეში, დავა სლავოფილებსა და დასავლეთის მომხრეთა შორის ახდინლად გამომეკადენდა. სინამდვილეში, ეს კონფლიქტი ჰყოფდა არა მარტო ინტელიგენციას, არამედ თითვეული მისი წევრის გონსაც(ესპირი). „სასარგებლო იქნებოდა რუსეთისათვის, ამბობდა წინასწარმეტყველურად დოსტოვესკი, ერთ ხანს პეტერბურგის დავიწყება და ჩვენი სულის შებრუნება აღმოსავლეთისაკენ...“

თუ ჩვენ გვსურს მივსდეთ ორგანიზაციას ჩვენი აზიისა, ჩვენში ვნახავთ დიდ ეროვნულ აღორძინებას.“

ყოველ შემთხვევაში, საბოლოო ანალიზში, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ ბედს, უთანხმოება ამ ორ ტენდენციათა შორის, შეიძლება იყოს მხოლოდ მოჩვენებითი.

რუსის ხალხი გადაიღებს დასავლეთის იდეებს და ტენიკას მხოლოდ იმისთვის, რომ ჰქონდეს საშუალება თავისი თავის სრულყოფისათვის.

უდაოდ, რუსეთის კომუნიზმში უკეთესად შესძლო ეს სინთეზი; რათავან ის გახდა საშუალებად ეროვნული მისწრაფების განხორციელებისა, ცოდნა მარქსიზმისა, ე. ი. მენაძენისა დასავლეთიდან, საკმარისი არ არის მის ასახსნელად. თვით მის უნივერსალურ ასპექტშიც ნან მიიღო ისეთი დადი, რომლის მიცემაც მისთვის შეეძლო მხოლოდ რუსეთს. კომუნიზმის შესიანური ხასიათი, დაბოლოს არის რუსის ხალხის ღრმა რელიგიური სულის გამოსახვა. ეს მისწრაფება აბსოლუტისაკენ, რომლის შებრუნებული ფორმა იყო ნილიზმი, არის აგრეთვე საშუალება კონტინენტალური ჩაკეტილობისაგან თავის დაღწევისა.

3) Il s'agit de la terminologie de Sir Harold Mackinder, Democratic Ideals and Reality.

4) Mende, Regards sur l'Histoire de demain.

მიხეილ მუსხელიშვილი

ქართული ეროვნული თვითშეგნების განვითარების შესახებ.

ორი ქართველი ნეცნიერის, ივ. ჯავახიშვილისა და ზ. ავალიშვილის ისტორიულ კვლევათა შორის, ვხედავთ საინტერესო აზრთა სხვაობას. ივ. ჯავახიშვილი მწუხარებით აღნიშნავს: „ქართველებმა მხოლოდ მე-13- საუკუნის დასაწყისში ჩაიგდეს მთელი ეს ქვეყანა... ხელში. მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძ-

ლი ძმეო ლაზები და ქანები ქართველობისაკენ სამეფოსთვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრასპონონის სამეფო დააარსა და თავის ნათესაფს აღუგეჭო კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა.“1)

*) ერთი თავი ავტორის შრომიდან, რომელიც დამზადებულია დასაბუტლად სამ ენაზედ.
1) ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“ ტ. 1, პირველი გამ. გვ. 49.

ეს საყვედური თამარ შეფის პოლიტიკის შესახებ, ზოგიერთ ნაკლებ ცნობილმა ავტორებმაც აღნიშნეს.

ხოლო ზ. ავალიშვილი უპასუხებს რა აღნიშნულ კრიტიკას, ამბობს, რომ პოლიტიკა რომელიც დამყარებულია ეთნიურ საფუძვლებზე, ირედეცენტრში, საზღვრების საკითხი და სხვა, შეეფერება უფრო ახალი დროის სულისკვეთებას. მეცამეტე საუკუნეში ეროვნული ერთობის გაძნელება არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისე ღრმად განსაზღვრული და გამომჟღავნებული, როგორც დღეს. თუმცა 1204 წ., განაგრძობს ავტორი, ეს მხარე მართლაც მოჰყვა საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში, ხოლო შეიძლება სხვა პირობებში აქ გავრცელებულიყო ქართული კულტურა და შეეცვალა ბერძნული (ბიზანტიური) და ამით საქართველოს შეერთებოდა ეს ნაწილი. მაგრამ ფაქტობრივად განვითარება ისტორიისა იყო სულ სხვა.2).

ჩვენ ვეთანხმებით ზ. ავალიშვილს იმაში რომ თანამედროვე პოლიტიკური გაგება და ტერმინოლოგია არ შეიძლება განუმარტებლად მიუყენოთ წარსულ დროთა პოლიტიკურ ფორმებს.

საშუალო საუკუნოებში არსებობდა სულ სხვა წარმოდგენა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, ან ადამიანის პიროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რელიგიური, დინასტიური და ტომობრივი ფაქტორები მამინ უფრო დიდ როლს თამაშობდნენ. ვიდრე ჩვენ დროს. სოციალური, ოჯახური წყობა, მატერიალური მდგომარეობა და განვითარება, იყვნენ სხვა გვარი ვიდრე დღეს. მსოფლიო-ხედვა, წარმოდგენა სამყაროზე, რამდენად ისინი დაკავშირებულნი არიან მეცნიერებასა და ტექნიკის განვითარებასთან, ფრიად განსხვავდებოდნენ თანამედროვეთაგან.

საშუალო საუკუნოებში მთელი გაგება არსებობისა (ან ყოფისა), იყო უმთავრესად იმ ქვეყნიური ვიდრე დღეს, რომელიც იმყარება საფუძველში ხელშესახებ სამყაროს.

შორეულ წარსულში ჩვენ შეიძლება ვეძიოთ ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენები, გაგება და ფორმები, რომელნიც წააგვიყენ თანამედროვეთ, მაგრამ მათი მთლიანად იყარვივება შესუძლებელია.

ეროვნული დოქტრინა იმ ფორმით, როგორც

ის დღეს წარმოდგენილია, არის ნაყოფი მე-19-ე საუკუნისა.

ამ დოქტრინას აქვს მრავალი ძირები და განვლილი მრავალი სტადიები, რომელზედაც ჩვენ ვილაბარავებთ სხვა დროს და სხვა ადგილას. მოკლედ კი ვიტყვით, რომ პირველად სახელმწიფოს დაფუძნება ხალხისა და ერის პრინციპზე, იყო შედეგი მე-18-ე საუკუნის საფრანგეთის რევოლუციისა.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისში მთელი ევროპაში შექმნილი ფილოსოფიური, ლიტერატურული და პოლიტიკური მოძრაობა, ცნობილი რომანტიზმის სახელით, აღვიძებს და ამტკიცებს ეროვნულ იმპულსს. მე-19-ე საუკუნის შუა წლებში კლიბერალიზმი იღებს რომანტიზმისაგან ეროვნულ მისწრაფებათ და მათ აძლევს შემდეგ განვითარებას.

ეროვნული დოქტრინა თანამედროვე გაგებით ეროვნულ პრინციპს ანიჭებს პირველობას შედარებით ყველა სხვა უფლებათა და ინტერესთა. ის აღვიძებს ხალხში გრძობას ეროვნული, საერთო ისტორიული ბედისა. მიუთითებს ხალხს მის ეროვნულ თავისებურებაზე, მიისწრაფის მისი დაცვისა და გაერთიანებისაკენ მთელი ერისა ერთ სახელმწიფოში. გაგების ასეთი კონკრეტული ფორმები ჩვენ არ შეგვიძლია ვეძიოთ საშუალო საუკუნოებში.

ეროვნულ დოქტრინაზე შენდებოდნენ და იწყობოდნენ სახელმწიფოები მე-19-ე საუკუნეში. ხოლო საქართველო თამარის დროისა არ წარმოდგენდა ეროვნულ სახელმწიფოს თანამედროვე ტიპისა, არამედ ფეოდალური მონარქიისა. ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში ის უფრო წარმოდგენდა ტიპს იმპერიისა; თუ ერთის მხრივ ის ერთიანება ყველა ქართველ ტომებს, გარდა ზემო აღნიშნული ჭანებისა და მათი ტერიტორიისა, რომელნიც იყვნენ ჯერ ბიზანტიისა და მერე ტრაპიზონის სამეფოს ორბიტში, მეორე მხრივ, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირები საქართველოს სამეფოსი იყო დასახლებული არა ქართული წარმოშობის ტომებისაგან. საქართველო აგრეთვე აგრცილებდა თავის გავლენას სხვა მეზობელ ქვეყნებზედაც. ერთი მთავარი ნიშანი იმპერიისა იყო საქართველოს ფეოდალური მონარქიაში შემავალ ხალხთა თანასწორუფლებიანობა ტახტის წინაშე.

საქართველოს საშუალო საუკუნოების სახელმწიფოს იდეისა და საფუძვლებზე ჩვენ გვექნება

2) ზ. ავალიშვილი. „ჯვაროსანთა დროიდან“. პარიზი, 1929 წ. გვ. 128-129.

ლსპარაკი უფროსი დაწვრილებით ჩვენი შრომის შედეგ თავში.

ჯერ ჯერობით კი, ვკმაყოფილებდით რა ზე- მოთქმულით, შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედ- როვედ ავტორების საყვედურო თამარ მეფის მიმ- ართ, რომ მან საბოლოოდ არ შეკრიბა ყველა ქა- რთველობა თავის სკიპტრის ქვეშ, წარმოადგენს ანაქრონიზმს.

ყოველი ისტორიული პიროვნება იქნება თა- ვისი დროისა და მასთან დაკავშირებული პოლი- ტიკური მსოფლმხედველობისა და ნორმების მი- ზედით. თამარ მეფე იყო თამარ მეფე, და არა ბისმარკი, ან გარბალდი.

ფთანხმებით რა ზ. ავალიშვილს იმაში, რომ მაშინდელი სახელმწიფოები არ იქნებოდნენ თა- ნამედროვე ნაციონალური პრინციპზე, არამედ სხვა საფუძვლებზე, მეორეს მხრივ, ჩვენ არ შეგვიძ- ლია არ აღვნიშნოთ შეცდომა განსვენებული ავ- ტორისა, რომელიც ფიქრობს, რომ ძველ ქართვე- ლებში შეუძლებელია არსებულიყო ღრმა შეგნე- ბა ეროვნული ერთობისა. რომ ნათელი ვყოთ ნამ- დვილი სურათი, მივმართოთ საქართველოს წარ- სულს.

ყველაზე უძველესი ძველი ქართული ისტორი- ოგრაფიისა ჩვენამდე მოღწეული, არის მე-8-9-ე საუკ. უცნობი ავტორისა „მოქცევაი ქართლისაი“. იმავე საუკუნეში გამოდის ისტორიკოსი ლეონტი მროველი, შემდგენელი „ისტორიისა პირველ ქა- რთველ მამათა და მეფეთა“. მის ისტორიას აგრ- ძელებს ჯუანშერი, რომელიც ნოვეთხრობს მე- 5-8 ს. ს. ისტორიულ ამბებს. შემდეგ მოსდევს სუმბატ დავითისძე, რომელმაც შეადგინა ისტო- რია და გენეალოგია ქართველ ბაგრატიონთა დი- ნასტიისა.

ამ თხზულებებში ბევრია ლეგენდარული. მო- თხრობა ამხენებულის ეპიურის, მითოლოგიური სახით. ეს უძველესი ქართული ისტორიოგრაფია იწყება ბიბლიური გადმოცემებით, შემდეგ აღწე- რილია ქართული სამეფოს დაარსება ლეგენდარ- ული ან ნახევრად ლეგენდარული მეფე ფარნაო- შის მიერ, რომელიც თითქოს გარდაიცვალა 305 წ. ქ. წ. მაგრამ, მიუხედავად ძველ ქართველ ის- ტორიკოსთა: ლეონტი მროველისა, ჯუანშერის და სხვათა მოთხრობების ხალხური, ეპიურისტული- სა, უდავოა, რომ მათ ზეღოთ უნდა ჰქონოდათ ჩვენ დრომდე მოუღწეველი წერილობითი წყა- რიები და ზღაპრული გადმოცემები, და ამით, თანახ- მად თანამედროვე ისტორიკოსების შეხედულებ- ბისა, აღნიშნულ ძველ ისტორიკოსთა თხზულებებ-

ნი შეიცავენ მრავალ, ძვირფას ისტორიულ მა- სალას.

მე-11-ე საუკუნეშივე შედგენილია უცნობი ავტორის მიერ ისტორიული ქრონიკა, რომელიც შეეხება მე-8-11-ე საუკ. ამბებს.

მე-11-12-ე ს. იწყება ქართული ისტორიოგრა- ფია, რომელიც ემყარება უშუალო დოკუმენტებს.

ეს ძველი ისტორიკოსები ამჟღავნებენ უკვე ქართულ ეროვნულ გრძნობას. როგორც ლეონტი მროველის ან სხვათა თხზულებებიდან სჩანს, უკ- ვე მე-8-9-ე საუკ. დაიბადა ქართველებში მოთ- ხოვნილება, გაეგოთ თავიანთი ისტორიული წარ- სული, ნათესაური დამოკიდებულება სხვა ხალ- ხებთან, ქართული ენისა დამოკიდებულება სხვა ენებთან და სხვა. მაგ, ძველი ქართველი ისტორი- კოსები ამტკიცებდნენ კავკასიური ხალხთა ნათესა-ობას თანამედროვე ევროპიულ მეცნიერებსა და ეთანოლოგებზედ ათასი წლით ადრე.

ყველა ძველ, ქართველ ისტორიკოსებს ახასი- ათებდა იდეა ქვეყნის გაერთიანებისა და ერთ მე- ფობისა, მხილება წარჩინებულთა თვითნებობისა, ფეოდალურ და მონაურ უთანხმოებათა.

იგ. ჯავახიშვილი ეხება რა საქართველოს მე- 10-11 ს. სოციალური და კულტურული მდგომარე-ობას, სწერს: „ამ ხანაშივე მომწიფდა და ჩამოყა- ლიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუ- კუნეებში, ჩვენ დრომდისაც კი, ჩვეულებრივ მი- ლებულთ ან გაბატონებული იყო და არის, სწო- რედ იმ დროს იყო შემუშავებული და გამოთქ- მული“-ო.3).

ქართულ ეროვნულ გრძნობათა განმომყვანე- ბას ჩვენ ეხედავთ არა მარტო საისტორიო მწერ- ლობაში, არამედ საეკლესიო-რელიგიურშიც, რო- მელიც იწყება საქართველ ოში მე-5-ე ს-ში, სპე- ციალურ ისტორიოგრაფიაზედ გაცილებით ადრე.

ქრისტეანობის გავრცელების დღიდან დაიბადა ქართველთა შორის აზრი, რომ თვით ღვთაება იყო მფარველი მათი.4) მაგალათისათვის ნო- ვიყუანოთ იოანე ზოსიმეს (10 ს.) სიტყვები, რო- მელიც ამტკიცებს, რომ ქრისტე-ღმერთი მეორედი მოსვლის დროს განკითხვას ქართულ ენაზედ მო- ახლდნსო. ეს სიტყვები, დღეს რომ გულუბრყვი-

3) იგ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტო- რია“, გვ. 472.
4) გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, დაწერილი გიორგი მონაწილისა, გვ. 294, შეად. ივ. ჯავახი- შვილი, გვ. 496.

ლოდ გვეჩვენებინან, განმომდინარეობდენ ავტორის ღრმა ჩრწმენიდან, რომელიც იყო დამყარებული ეროვნულ სიამაყეზე და ქართული ეკლესიის მამინდელ მდგომარეობაზე.

ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრებაში († 1028) სწერია: ახალგაზრდა ექვთიმეს ავადმყოფობის დროს მოეწვინა ღვთისმშობელი და გაამხნევა იგი შემდეგი სიტყვებით: „აღდეგ ნუ გეზინია და ქართულად ხსნილად უბნობდა“ მარიამ მასო.5)

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაშიც ნათქვამია აგრეთვე, რომ ღვთისმშობელს „დიდად ეწყალოს და უყვარს ნათესავი თუენი“.6) ამგვარად ვრცელდება აზრი, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი და მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყანაა.

* * *

უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ერთხელ ყოფილა მიქცეული ყურადღება იმ ფაქტისადმი, რომ ქართველები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან ქალს და აღიღებენ მას. ეს გამოიხატება იმაშიც, რომ ღვთისმშობელი, წმ. ნინო და თამარ მეფე, რომელიც შემდეგში შევიდა მართლმადიდებელ წმიდანთა რიცხვში, ითვლებიან ქართველთა მფარველებად. აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ეს მოვლენები და ზოგიერთი სხვა ფაქტორები, მკვლევართა აზრით განმომდინარეობდენ საქართველოში მატრიარქატის ნაშთებიდან.

საკითხი იმის შესახებ ბატონობდა თუ არა ძველ ქართველ ტომთა შორის მატრიარქატი თუ პატრიარქატი, არის მეტად რთული, რომელზედაც ჩვენ არ შეგვიძლია ამომწურავი პასუხის გაცემა და საერთოდაც ოჯახური და საგვარეულო უფლებების ეს ორი პრინციპი, მათი წარმომოხება, გავრცელება და სხვა, არის სადავო.

ქართველ ტომთა უძველეს პერიოდში, შესაძლებელია არსებობდა მატრიარქატი, მაგრამ მეორე მხრით, ძველი ქართული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ქართველ ტომებში ბატონობდა პატრიარქატი. გვარს განაგებდა მამასახლისი. ნათესაობა აღინიშნებოდა არა მარტო დედის ხაზით, როგორც უნდა ყოფილიყო მატრიარქატის ბატონობის პი-

რობებში, არამედ პირველ რიგში მამის ხაზით. ერთი ცხადია, რომ უძველესი დროიდანვე ქალს ჰქონდა განსაკუთრებული მდგომარეობა საქართველოში, თანასწორ პირობებში მამაკაცთან. უცვლელია ნინოს 7) ცხოვრებაში ნათქვამია:

„არა მამაკაცებაი, არცა დედაკაცებაი, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართო.“ ქართულ არხიერტიკონში სწერია: „წმიდა და ერთსწორ ჰყავი მამაკაცი და დედაკაცი, ვითარცა სათნო გინდა შენ არა ხოლო თუ მამათა, არამედ დედათაცა მოეც მადლი სულისა შენისა წმიდისა.“8)

ქალის და კაცის თანასწორობის იდეის დაგვირგვინება მოგვცა შოთა რუსთველმა თავის, ყოველი ქართველისათვის ცნობილი ტაეპში:

ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვდია!

გუბრუნდებით რა ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების განვითარების ისტორიას, მოვიყვანოთ განთქმული ძველი ქართველი ისტორიკოსის გ. მერჩულის სიტყვები, რომელმაც 951 წ. შეადგინა ვრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. მერჩულის სწერს: „...ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულებს...“

სინას მთაზე ნაბოენი მესამე საუკუნის ძველ ქართულ საეკლესიო ხელნაწერში ვკითხულობთ შემდეგ ლოცვას:

**ქართლისა მშვიდობისა,
საზღუართა განმაგრებისა,
მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა,
მტერთა გარემიქცევისა,
უამთა დაწყნარებისა,
ქრისტეანობისა დამტკიცებისთვის,
უფლისა მიმართ ვილოცვო. 9)**

თვის სამშობლოს მომორებელი წმიდა ბერის ეს ლოცვა განა არ არის მისი უღრმესი პატრიოტიზმის გამოხატულება?

ექვთიმე ათონელის „ცხოვრებაში“ შემონახულია ფიცის ტექსტი ათონის ქართველთა, რომელიც თავისი უსაზღვრო მამულიშვილური გრძნო

7) წმ. ნინოს ცხოვრება, გამ. ე. თაყაიშვილისა. შეად. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. 2. გვ. 661.

8) „არხიერტიკონი“, გამ. კ. კეკელიძისა, შეად. ივ. ჯავახიშვილი, „ქართ. ერის ისტ.“ ტ. გვ. 139.

9) ნ. მარია, „სინას მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერა“, (რუს.) გამოც. საბჭოთა კავშ. სამეცნიერო აკადემიისა, მოსკოვი, 1940, ხელნ. 54 გვ. 85.

5) ცხოვრებაი ივანესი და ექვთიმესი, გვ. 26, შეად. ი. ჯავახიშვილი, გვ. 496.

6) გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, გვ. 294, შეად. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. 2, გვ. 496.



ბით და მხურვალე მოწოდებითა საერეთო „ქართული საქმიანათვის“ თავგანწირული სამსახურისათვის — განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვე ნკითხველი.10)

მთელ ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში, იქნება ეს მარტივილოგიური, წმიდათა ცხოვრე-

10) „ცხოვრება იოვანე და ექვთიმესი“, გვ. 26, შეად. ივ. ჯავახიშვილი, გვ. 496.

ბანი თუ ჰიმნოგრაფია, ყველგან ვხვდებით ძლიერი ენოვანიული გრძობის გამომყვანებას.

ძველი ქართველი მოძღვარნი იყვნენ არა მარტო მქადაგებელი, გამავრცელებელი ქრისტიანული სარწმუნოებისა, არამედ, დამცველი და ხშირად მეთაურიც თავიანთი ხალხისა.

მეტად დიდი რიცხვი ასეთ საეკლესიო მოღვაწეთა.

გიორგი მაღალაშვილი
(ვაგარძელეა იქმნება)

ლ მ ც ვ ა

(ჩემ ძვირფას პ. შ.-ს)

სახელგანთქმული ექიმი სალექსი კარელი თავის წიგნში „ლოცვა“ სწერს: „ჩვენ, დასავლეთში, გვგონია, რომ გონება ბევრად მაღლა დგას ინტუიციასზედ... ჩვენ ვცდილობთ განგვიფართოთ უმთავრესად გონიერება, ხოლო სულის მოქმედებაში: გრძობა მორალური, გრძობა საილამაზისა და განსაკუთრებით საკრალურისა ანუ წმიდისა, თითქმის საცხებით მივიწყებულია. ამ ძირითად სულიერი თვისებათა ატროფია თანამედროვე ადამიანს სულიერად ბრმა არსებულ ზღის. ეს საბრმავე ზელს უშლის მას განდეს სასარგებლო და აღმშენებლობითი წვერი საზოგადოებისა... აქედან გამომდინარეობს აღრევა და კრიზისი ჩვენი ცივილიზაციისა. სინამდვილეში ცხოვრების წარმატებისათვის სულიერი ისევე აუცილებელია და საჭირო, როგორც გონებრივი და ნივთიერი.

საკრალური გრძობა მქადაგდება უმთავრესად ლოცვით, განაგრძობს კარელი. ლოცვა, როგორც გრძობა საკრალური, არის უდაოდ სულიერი მოვლენა, ხოლო სულიერი სამყარო დგას გარეშე ჩვენ ტუნკური მიღწევებისა. იბადება საკითხი, როგორ მოვიპოვოთ ლოცვის პოზიტიური შედეგებები?

მეცნიერების სფერო მთლად დაკვირვებითი ხასიათისაა. ის შეიძლება ფიზიოლოგიურის მეოხებით სულიერი გამომყვანებაზედაც ვაგრცელოდეს და სწორედ მლოცველი ადამიანის სისტემატიური დაკვირვება მოგვცემს საშუალებას გავიგოთ, რაში მდგომარეობს ფენომენი ლოცვისა, ტუნკია მისი ქმნისა და შედეგები. ექიმ კარელისა აზრით, ლოცვა არის უნილავი ემანაცია ადამიანის სულისა, ყველაზე უძლიერესი ფორმა ენერჯისა, რაც კი შესაძლებელია შექმნას ადამიანი. იგი არის ისეთივე რეალური ძალა, როგორც ში-

ვის მიმზიდველობა. „აქინობის დროს მე მქონდა შემთხვევა დაგვირგებოდი, რომ ყველა თერაპეკტიულ საშუალებათა ამოწურვის შენდეგ, ავადმყოფები იკურნებოდენ მხოლოდ ურყევი რწმენისა და გულწრფელი ლოცვის საშუალებით. ეს არის ერთად ერთი ძალა მსოფლიოში, რომელიც სძლევეს იგრედ წოდებულ „ბუნების კანონებს“. სახეში მაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ლოცვა დრამატიულად ჰქმნის მას, რასაც უწოდებენ სასწაულს“. (იხ. ა. კარელის: „ლოცვა არის ძალა“. ინგლისური ენაზედ.) მაგრამ მუდმივი, უფრო უჩინარი სასწაული ხდება ყოველი საათის იმათ გულში, ვინც შეიგნო, რომ ლოცვა არის მუდმივი მასულდგმულელებელი, ძალის მიმნიჭებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში... სად პოულობს ლოცვა ამ დინამიურ, ადამიანის გამამაგრებელ და გამაძლიერებელ ძალას? კარელი უბასუხებს, რომ ეს კითხვა მეცნიერების კომპეტენციის გარეშე დგასო და აღნიშნავს, რომ ყველა ლოცვებს ერთისაერთო ახასიათებს. „ლოცვა დიდი ორატორისა, თუ უბრალო მსხვერპლი, მიტანილი იროკვის მონადირის მიერ, რომელიც ღმერთს წარმატებას სთხოვს ნადირობაში, ერთს და იმავე ჭეშმარიტებას ადასტურებენ. სახელდობრ: ყველა ენერჯიათა განუსაზღვრელი წყაროსადმი ლოცვით მიმართვით ჩვენ ვეძებთ შეესებას და გაძლიერებას საკუთარი განსაზღვრული ენერჯისა, რადგან ლოცვის დროს ვუერთდებით უზენაეს ძალას, რომელიც განაგებს და ამოძრავებს მთელს სამყაროს. ჩვენ ვთხოვლობთ ამ ძალის ნაწილს ჩვენთვის, ჩვენი საჭიროებისათვის.“

ლოცვა არის ერთად ერთი ღვთისაგან ჩვენთვის ბოძებული წყალობა, რომლითაც ჩვენ, მატერიის მხეში გაბმულნი და ჩამწყვედულნი, ვძლიერობთ და ვპოულობთ თავისუფლებას.



ლოცვა არის სულის ამღვებება ღვთაებისაკენ, ცდა უხილავ, ყოველის შემქმნელ არსის, უმალ- ლეს ჭეშმარიტების და სილამაზის ნიწლომისა. ლოცვის დროს ჩვენ ყოველთვის ვამჩნევთ სულ- ისა და სხეულის უკეთესისაკენ ცვლილებას. ემერ- სონი ამბობს: „არც ერთ ადამიანს არას დროს არ ულოცია ისე, რომ რამე მანც არ შეეგნოს.“¹ მარტივ ფორმულათა განმეორება არ არის ლო- ცვა, ამბობს კარელი. ნამდვილი ლოცვა არის გან- ცდა მისტიური, როდესაც ცნობიერება შეერწყ- მება ღვთაებასო. ეს განცდა არ არის გონებრივი ბუნებისა. ის რჩება მიუწვდომელი და გაუგებარი ფილოსოფოსთა და მეცნიერთათვის. როგორც გრძნობა სილამაზისა და სიყვარულისა, ისე ლო- ცვა არ ნოითხოვს არავითარ მწიგნობრულ ცოდ- ნას. უბრალონი ღმერთს გრძნობენ ისევე ბუნებ- რივად, როგორც მზის სითბოს და ვარდის სუნ- ნელებას.

სწორედ გაგებულ ლოცვა არის პირველხარ- ისხოვანი მნიშვნელობის მოქმედება, რომელიც აუცილებელია პიროვნების სრული (შინაგანი) განვითარებისათვის, მის უმალეს თვისებათა ერთში შედუღებისა და სრულ-ყოფისათვის. მხო- ლოდ ლოცვაში შეგვიძლია ჩვენ მართლაც ნივს- წვედთ იმ მრთელ და ჰარმონიულ შეთანხმებას სულისა, გონისა და სხეულისა, რომელიც აძლევს ადამიანს სრულყოფილ სახეს და უძლეველ ძა- ლას.

ლოცვა არის ის უდიდესი ენერგია, რომელიც ცხოვრების უმძიმეს ჭრილობებს გვიმრთელებს. ის არის სულის მოწყობილე წმიდა წყარო, რომე- ლიც დადლილ, დაქანცულ მოგზაურს მოასულიე- რებს, გამართავს წელში, რომ მას, დამშვიდებულ- მა განაგრძოს ცხოვრების გზა.

ლოცვა არ არის თავის მოტყუება, როგორც ბევრს ჰგონია, ან ჩამორჩენილთათვის მოგონი- ლი ანბავი, ან ბავშვების გასართობი ზღაპარი. მწარედ ტყუვლებიან ისინი, ვინც დაწმინდე- ბულნი არიან, რომ ბუნება მათთვის გაშლილი და წავითხული წიგნია, ყოველი და ყველაფერი და- მთავრებული და ახსნილი. თვით სოკრატე ამბობ- და: „მე ვიცი მხოლოდ ის, რომ არაფერი ვიციო.“ დიდი ნიუტონი, რომელიც ჩასწვდა საიდუმლოე- ბას მსოფლიოს აგებულებისა და მოძრაობისა, თავის თავზედ იტყობა: „არ ვიცი მეშვედრენი რას იტყვიან ჩემზე და რად ჩამთვლიან, მაგრამ ჩემი თავი მე მაქვს წარმოდგენილი, როგორც პატარა ბავში, რომელიც უსაზღვრო ოკეანის ნა- პირზედ კრეფს სადაფებს, ტალღების მიერ ვად-

მოსროლილს, მაშინ როდესაც თვით ოკეანე და მისი სიღრმენი რჩებიან ჩემთვის მიუწვდომელნი ძველებურად.“ გოეტე ეუბნება ეკერმანს: „რა ვიციო ჩვენ ღვთაებრივი იდეისა, ან რას ნიშნავს ჩვენი შეზღუდული კონცეპცია უზენაესისა! ასი სახელიც რომ დავარქვა მას, მანც ვერ შევძლებ- მის განმარტებას.“ ნამდვილი მეცნიერი, შემქმ- ნელი მეცნიერულ ცოდნათა, გაკვირვებული რჩე- ბა საყოველთაოდ თითქოს ცნობილ და გასაგებ ფაქტების წინაშე, სწერს ს. ლ. ფრანკ („რელი- გია და მეცნიერება“ № 1, ბრუსელი 1955 წ.). იქ, სადაც საშუალო ადამიანი კმაყოფილდება ჩვეულებრივი, გავრცელებული გაგებით, სადაც მისი თვალსაზრისით ყველაფერი მარტივია და აშკარა, მეცნიერი კითხულობს: როგორ არის ეს მესასილებელი? რატომ არის ეს ასე? მეცნიერს სურს ჩასწვდეს სინამდვილის სიღრმეს, და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სცნობს ჯერ კიდევ მიუწვდო- მელ, ჩვეულებრივ თვალთახედვისაგან დამალ- ულ სიღრმეს ყოფისა. ის არ არის მეცნიერი, რომლისათვის მთელი სამყარო განსაზღვრება უშუ- ალოდ ხილულით; ვისაც ჰგონია, რომ მთელ რე- ალობას იცნობს. პირქით, მეცნიერი არის მხო- ლოდ ის, რომელიც გრძნობს ყოფის საიდუმლო სიღრმეთ, რომელმაც შექაპირთან ერთად იცის, რომ: „არის ბევრი რამ ამ ქვეყნად, რაც არი დასი- ზმრეობათ ჩვენ ბრძენთო.“

რაც კი კაცობრიობას ახსოვს განმანათლებელ- ნი, მოქადაგენი, მოციქულნი, წმიდანნი, ყველანი სარწმუნოებისა და ლოცვისაკენ მოგვიწოდებენ. თვით ძე ღვთისა, ქრისტე, ყოველ უდიდეს გან- ცდის დროს უდაბნოში მიემშურებოდა და იქ ლო- ცულობდა. ედუარდ შიურეს აზრით „ქრისტემ იცოდა ლოცვის უდიდესი ძალა და არვის არ უშ- ვებდა თავის სალოცავ განმარტობაში, როდესაც ნიმართავდა წმიდათა წმიდას.“ ინდოეთის ბრძენ- ნი ამბობენ: „ლოცვას უკავია ცა და დედა-მიწა და აქვს გავლენა თვით უფალზეო.“ გოეტეს აზ- რით: „ღვთაების რეალობა ჩვენ გვიცხადდება მხოლოდ ღვთაებისადმი ლოცვით მიმართვის სუ- ლიერი ცდის დროს. ლოცვა წარმოადგენს ღრმა ძირს ჩვენი სულისა, შემრთველი მისი ღმერთ- თან.

თუ ადამიანმა ერთხელ მანც განიცადა, გინდ ერთი წუთით, თუ რა არის ლოცვის ძალა, მას შემდგე ვერაგინ და ვერაფერი გადააჯერებს და გადაარწმუნებს.

ნამდვილად მლოცველ ადამიანს ყოველთვის ეტყობა ლოცვის გავლენა, რომელიც მას ნელი-

ნელ, შეუმჩნეველად უნათლებს სულს და რომელი-სამე ნომენტში მიიყვანს ისეთ ექსტაზამდე, რო-დეცა ადამიანი ამკარად ჰხედავს, თუ როგორ შორდება ის თავის ნაკლოვან ეგოისტურ მეობას, ივიწყებს ყოველნაირ მატერიალურ განცდებს, ფიზიკური მფეროდან გადადის ლეთიურში და გრძნობს კოსმოსის სრულ ჰარმონიას.

სული თავისი სამეფო შემადგენლობით ღვთის ნაბერწყალია. თუ იგი შეუერთდა გონს, მაშინ ადამიანი მიაღწევს სიბრძნეს და სიმშვი-დეს. თუ სული ქანაობს გონების და ბუნების შო-რის, მაშინ მღელვარებისა და ვნების ქვეშ მოჰ-ყვება. თუ სული მარტო ბუნებრივ მოთხოვნილ-ბას დაემორჩილა, მაშინ იგი ენებათა ანარქიის ნამდვილი მონა გახდება.

ადამიანმა დაიწყა ლოცვა იმ დღიდან, როდეს-საც მან შეიგნა და იწამა არსებობა უზენაესი არ-სისა, რომლისგან ის იყო დამოკიდებული, და იკ-

რძნო საჭიროება თაყვანი ეცა მისთვის და წყა-ლობა ეთხოვა მისგან.

ლოცვას თავისი ისტორია აქვს. იგი სხვა და სხვა დროს სხვა და სხვანაირად ესმოდათ და მას სხვა და სხვანაირად ასრულებდნენ.

ჰომეროსი თავის „ილიადაში“ (თავი 9, 502-512) ასე ახასიათებს ლოცვას: „ლოცვანი არიან ზევსის ქალი-შვილნი, — კოჭლნი და სახე დანა-ოჭებულნი. ისინი მისდევენ ბედისწერას. ბედის წერა არის ძლიერი და მოძრავი, რომელიც მათ-ზედ ბევრად ადრე შემოივლის მთელ დედამ-წას და ვნებას აყენებს ადამიანთ, რომელთა დას-ახმარებლად ბედისწერას უკან მოსდევენ ზევსის შვილნი, რომელნიც აღუსრულებენ ლოცვას იმ-ათ, ვინც მათ პატივით მიიღებენ, ხოლო ვინც მათ ცუდად შეხვდებიან, ზევსი, კრონოსის შვილი, მი უსევს ბედისწერას დასასჯელად.“

ნინო სალია

(გაგრძელება იქნება)

ქართულთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიის გაღება

1

ვიციტ, რომ იბერიამი, ე. ი. აღ. საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამო-ცხადდა 337 წლის ახლოს, მეფე მირიანის დროს, როდესაც იბერია რომის იმპერიასთან იყო პოლი-ტიკურად დაკავშირებული, ხოლო გულისხარბი სპარსელები ჯერ კიდევ შორიდან უთვალთვალ-ებდნენ მის საზღვრებს. სპარსთა პირველი თავ-დასხმა ქართლმა მხოლოდ 368-370 წლებში გა-ნიცადა. რის შედეგი იყო მისი ორ სამეფოდ გა-ყოფა. მაგრამ 387 წელს ქრთხელ კიდევ მოხდა საზღვრების გამჯგნა რომსა და სპარსეთს შო-რის. ამ ახალი ხელშეკრულების წყალობით სპარსეთს ხელში ჩაეგარდა შუამდინარე ქ. ნიზიბი-თურთ და თითქმის მთელი სომხეთი აზრუამდე. ეჭვი არ უნდა, ამ ხანად იბერიასაც იგივე ბედი ეწია და მეოთხე საუკუნის მიწურულში მთელი აღ. საქართველო სპარსეთის უდიელ-ქვეშ მოჰყვა (იხ. ბ. ქ. № 6 გვ. 26).

ისე როგორც აღ. საქართველოში, არც დასავ-ლეთ საქართველოში შესულა ქრისტიანობა ერთ გზის და ერთი გზით. მისი სათავე მოციქულთა ეამს აღწევს და მისი საბოლოო განმტკიცება კო-ლხიდაში მე-ნ-ე საუკუნესა. უკვე წმ. პეტრე მო-ციქული ესალმება მის პირველ წერილში(1,1) პონტოელ ქრისტიანებს შავი ზღვის ნაპირებზე.

პონტი კი უშუალოდ საზღვრავდა ლაზიკას, სა-დაც ქრისტიანობა მის შინაგანი წნევის ძალით, მალე უნდა შეჭრილიყო, აღბადი ინავე ხანებში. იგივეს ამოწმებს მესამე საუკუნის დიდი ღვთის-მეტყველი ორიგენი (183-254), რომლის ცნობა შემოგვინახა საეკლესიო ისტორიის მამამ, იესები კესარიელმა(†339): როგორც გადმოცემა გვასწავ-ლის, ანდრია მოციქულს სკვითეთი ერგო მოსაქ-ცევა. პალესტინიდან წასულისათვის კი, სკვი-თებში გადასავლელი ერთად ერთი უახლოესი გზა იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირი, ე. ი. ლაზიკა - აფხაზეთი. ორიგენის მო-წმობის უფლებებელყოფა აგრე ადვილად არ შე-იძლება იმიტომ, რომ იგი ემყარება მსოფლიო ეკ-ლესიის გადმოცემას, რის გასაცნობად ორიგენმა ვანგებ მოიარა და ინახულა იმდროის საქრისტიან-ოს ცენტრები: რომი, პალესტინა, მცირე აზია.

ლაზიკაში ქრისტიანობა უკვე მოციქულთა დროიდანვე შეუფერხებლად წინ მიდიოდა. აქ მალე გაჩნდნენ საეპისკოპოსო საყდრები. მაგ. ცნო-ბილია ტრაპიზონის ეპისკოპოსი დამნუსი და თვით ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილოსი, რომელნიც ირიცხებიან ნიკეის პირველი მსოფ-ლიო კრების დამსწრეთა შორს, 325 წელს.

ხოლო საბოლოო განარჯვება ლაზიკისა და აფ-

ხაზეთის ქრისტიანობას წილად ხვდა მეექვსე საუკუნეში. დიდი ხნით გაქრისტიანებული ლაზთა მეფე წათე, ჯერედ წარმართი, 515 წ. იუსტინე კეისარს ესტუმრა იზიზინტაშიც, სადაც შვილითურთ მობინათლა. კოხლიდას წაჰბადა აფხაზეთშიც. ამ ქვეყნის წარმართად დარჩენილი უკანასკნელი ნაშთი მოაქცია იუსტინიანე პირველმა (527-565), რომელმაც მათ ეკლესიები აუგო და სამღვდლოება გაუფხავა. ეს ცნობა ბერძნული წყაროებიდან მომდინარეობს და შეტანილია ვახტანგისეულ ქართ. ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: „მათვე უამთა შინა იუსტინიანეს მეფობისათა აფხაზნიცა შეიცივალნეს უმჯობესად და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ქადაგებაი, რამეთუ ბაღატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ღინე საჭურისი. აფხაზი ნათესავით და ედფრატა სახელისდებით, რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებათ მათთა“-ო.

ბარიდან ქრისტიანობა შევიდა კავკასიის მთებში რომელიც მან ჩქარა გადალახა და ქრისტეს ნათელი მოფინა იქ მობინადრე არა ქართველთა მორღმის ხალხსაც. ამას ნათელპყოფს დღემდე შემონახული თვალსაჩინო ძეგლები, მწიგნობრობის და ხუროთმოძღვრების დარგს რომ ეკუთვნის. ჩეჩნების (ქისტების) და ინგუშების ენაში ჩვენ ვნახულობთ მრავალ საეკლესიო სიტყვებს, რომელთა სათავეც ქართულია: კვირა, კვირა დღე; პარასკევი, მარხვა, შაფათი, ჯვარი. ყველა ეს, ცხადია, ქართულიდან აქვს წემოთქმულ ენებს შემთავსებული: უცილო საბუთი რომ მათი ქრისტიანობის დასაბამი ქართულშია მოსაძებნი. იქვე ინგუშთა ქვეყანაში უამთა სიავეს გადაჩენია ერთი ეკლესია ბაზილიკალური რიგისა, რაც მისი სიძველის ნიშანია. ამ ეკლესიის ტანი მორთულია ქართული სახეებით და ქართული წარწერებით, სადაც იხსენებია იოანე, გიორგი და სხვანი. ეს შენობა, სწანს, დათარიღებულიც ყოფილა, ვინაიდან თარიღად ჟიზის რაღაც არა ჩვეული ქრონიკონი „მი“, „ნ“-ის წილ, რაც ნიშნავს 50-ს. ეს ორი ასო თუ მართლა ქრონიკონს აღნიშნავს, მაშინ ამ ტაძრის წარწერა უნდა მივწეროთ მეცხრე საუკუნეს, სახელდობრ 830 წელს (780+50=830). ამ ტაძრის ორი სურათი ვამოაქვეყნა ჩვენმა ცნობილმა პროფესორმა ა. სანდერსმა (ა. ნიკურაძე) მის ჩინებულს, გერმანულად გამოცემულს თხზულებაში „კაუკაზიენ“ (გვ. 180-181). ამით ირკვევა, რომ ქართლიდან შეტანილს ქრისტეს მოძღვრებას უცვც მეცხრე საუკუნის მანძილზე ფეხი მოუკიდია ჩრდილო კავკასიაში. ბუნებრივია, იქ

ფესვ გადგმული ქრისტიანობა ინგუშებზე არ შეჩერდებოდა, არამედ დროთა დენაში თანდათან მოეფინებოდა მთელი ჩრდილო კავკასიის ერებსაც. მართალია, დადებითი საბუთი არ ვაგვიჩნია ამისთვის, მაგრამ ეს რომ არ შეიძლება სხვა ნაირად ყოფილიყო, ამის მოწამეა სრულიად არა კავკასიური ხალხის ალანების ნოქცევა ქართველ მეფეთა მიერ: რაც, თუ არ ვცდები, სულ ახალ შუქსა ფენს ქართველთა ეკლესიის ისტორიას.

ხოვას თქმით ალანები სკვითების მონათესავეები ყოფილა. სხვანი კი ფიქრობენ, შეიძლება უფრო სამართლიანად, რომ ისინი ირანული წარმოშობის ხალხი იყო. პროფ. ა. სანდერსის ჩვენებით („კაუკაზიენ“ გ. 80-81) ალანების უძველეს ბინად მიჩნეულა კასპის ზღვისა და კავკასიონის ჩრდილო მიდამონი. მათთან ბრძოლა ჰქონია თვითონ დიდ პომპეის 65 წ. და შემდეგშიც არა ერთხელ თავს დასხმია ისინი სამხრეთ კავკასიის ერებს, ეჭვი არ უნდა, დარიალის ხეობით, რაკი თვითონ „დარიალი — დარიალან“ ალანთა კარად ანუ ბჭედ ითარგმნება. 370 წ. ჰუნებმა დამორჩილეს ისინი. დამარცხებულთა ერთი ნაწილი ჰუნებმა გაიყოლიეს, სხვანი ვისიგოთებმა, რომლებთანაც ისპანიაში გოტალანია (კატალანია) შექმნეს და მათი ხანგრძლივი ჰეტრალი აფრიკის მწველ ქვიზარში სულის დაღვეით დაასრულეს. ჩრდილო კავკასიაში ალანთაგან ერთი შტო თერგისა და ყუბანის სათავეებზე ბინადრობდა, მეორე უფრო შავი ზღვის ჩრდილოეთით. ესენი ქრელი ცხოვრების პირობების თანახმად, ხან სამოყვრო და ხან სამტრო ურთიერთობაში იყვნენ ბიზანტიის იმპერიასთან თითქმის მის წაქცევის დღემდე თურქების მიერ. თუმცა კავკასიის ალანები ნელნელა მთლად გაითქვიფნენ სხვა იქაურ ერებში, ზოგიერთი მკვლევარი მანც ფიქრობს, თითქოს დღევანდელი ოსების ტომი იყოს მათი ნაშთი. აი ეს ალანებია, რომელნიც ქართველებმა მოაქციეს მეთაე საუკუნეში.

2

ცნობები ალანთა მოქცევის თაობაზე, მოაბობა კოსტანტინეპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის ეპისტოლიეთა კრებულში, რაცაც გამოცემულია ბერძნული პატრიოლოგიის (38) მე-111-ე ტომში. ამ კრებულმა საში წერილი შემოგვანახა ჩვენი საკითხის შესახებ. მათი საგანია ამ ალანთა მოქცევის ამბავი, ან და იმპერატორსა და აფხაზთა მეფეს მორის არსებული ურთიერთობა. ეს წერილები არიან: მე-51-ე (პ ზ, 111, სვეტი

241-244), მე-46 (იქვე, სვ. 236). და მე-162 წერილი (იქვე, სვ. 389). სამივე წერილი მიმართულია აფხაზთა ნეფეებისადმი, რომელთაც ნიკოლოზი „ექსუსიასტეს“ — მთავარს, მბრძანებელს, უფალს, უწოდებს, არას დროს „ბაზილიესს“ — მეფეს. ამაყი ბიზანტიელებისათვის ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ბასილიესი, რომელთა იმპერატორი ბრძანდებოდა, სხვა ყველანი კი მისი ხელქვეითი იყვნენ, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

როგორც სხვა ცნობებიდან ირკვევა (იხ. „ეხო დორიან“, 33, 1934, გ. 53-58), ალანთა შორის პირველ მქადაგებლად გამოსულა ოლიმპის ბერმონაზონი ევთიმე, რომლის მოღვაწეობას, ჩანს, დიდი ნაყოფი არ გამოუღია. მაშინ თვითონ აფხაზთა მეფეს თავს უდგა ეს საქმე და ალანების განსწავლვად ქართველი მოციქულები გაუგზავნია. მოუქცევია და მოუნათლავს მათი მთავარი, სხვა მრავალ ალანებთან ერთად. რაკი ალანთა ქვეყანა იერარქიულად ბიზანტიის საპატრიარქოს ფარგლებში შედიოდა, ამიტომ თვითონ ნიკოლოზ მისტიკოსს საკუთარი ხელდასხმით დაუდგენია მათთვის პირველი მთავარეპისკოპოსი, სახელად პეტრე. აი ამ ამბების შემდეგ არის ნიკოლოზის პირველი წერილი (მე-51-ე, ეპისტოლეთა კრებულითა) შედგენილი.

ამ წერილში პატრიარქი დიდი პატივისცემით და შორითგან ამხორისყოფით ესალმება აფხაზთა მეფეს, აქებს მის ღვთივალტყინებულს მისწრაფებას ალანთა მთავრის მოსაქცევად და კმაყოფილებით აღნიშნავს იმ სტუმართ — მოყვარებას და მზრუნველობას, რომელიც მეფემ აჩვენა ალანთა მთავარეპისკოპოსს. საბოლოოდ გამოსთქვამს იმედა, რომ მეფე არ მოაკლებს თავის გულუხვ წყალობას ალანთა სამღვდელოების, რის სასადაცლოდ მას ღმერთი ამ ქვეყნად აღვსებს ყოველივე კეთილითა და საიქიოს განუხვეწებს წინდათა შორის.

ვინაიდან წერილს არც მოძღვრის სახელი უხვის და არც შედგენის თარიღი, ამიტომისმება სააკითხი: როდის არის ეს ეპისტოლე შეთხზული, და ან რომელ მეფისადმი მიმართული? ნიკოლოზი ორჯერ იყო პატრიარქად: პირველად 912-925 წლებს შორის. მაშ მისი წერილები შეთხზული უნდა იყვნენ ან ხნის განმავლობაში. მისი პირველი წერილი რომ შედგენილია მის პირველ პატრიარქობაში, ამას ერთნაირად ცხადპყფს არაბთა მწერალი იბნ-რაჟსტა, რომელიც გვაუწყებს, იოსებ მარკეარტის მოწმობით, 903 წელს შეთხ-

ზულ წიგნში „ქითაბ-ალაკ-ალ-ნაფისა“, რომ ალანთა მთავარი თვითონ პირადად ქრისტეს აღიარებს, ხოლო მის ხელქვეშე ყოფილ ხალხს უმრავლესობა ჯერ ისევე კერპებს სცემს თაყვანსაო. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ალანთა მთავარი 903 წ. უკვე ქრისტიანი იყო, მაშინ პატრიარქის პირველი წერილიც ამ თარიღის სიახლოვეს უნდა იყოს დაწერილი და ამის მერე მიმართული აფხაზთა მეფის **ბაგრატიანადმი**, რომელიც გარდაიცვალა, მ. ბროსესს გამოანგარიშებით, 906 წ. (იხ. ი.ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, წიგნი2, 1914, გვ. 382). იგივე თარიღს კენ გვითითებს შემდეგი ეპისტოლეც.

მეორე წერილში (მე-46) პატრიარქი აფხაზთა მეფეს სამიმზარს უთვლის მისი მამის გარდაცვალების გამო, უსურვებს მამის ყოველივე სიკეთეს, როგორც მის ღირსეულ მემკვიდრეს, და ბოლოს მასაც ავედრებს ალანთა მთავარეპისკოპოსს. ამ წერილითგანვე ვცხოვრობთ, რომ პატრიარქს აფხაზთა მეფისათვის გაუგზავნია სამეფო „სამოსელი“ (ინვესტიტურა?). იქვე არ უნდა, აქ მოხსენებული გარდაცვალებული მამა ბაგრატ მეფე არის, მისი მემკვიდრე-კი კოსტანტინე. მაშასადამე, წერილი შედგენილია ბაგრატის გარდაცვალებიდან (906) ნიკოლოზის დამხობამდე პატრიარქობისაგან 907 წლის თებერვალს.

ნიკოლოზ პატრიარქის მესამე (მე-162) წერილი მიმართულია აფხაზთა მეფის **გიორგისადმი**. ცხადია, ეს გიორგი უნდა იყოს მეფე კოსტანტინეს ძე და მემკვიდრე გიორგი მეორე, „სრული ყოვლითა სიკეთითა, სიშნითა და ახოვნებითა“. წერილის შინაარსი იმით ანოიწურებს, რომ პატრიარქი ხოტბას ასხამს მეფე გიორგის და საჭიროების მიხედვით სამხედრო დახმარებას სთხოვს ბულგართა წინააღმდეგ. წერილის ეს ნაწილი საზღვარს გვაძლევს თითქმის ზედმიწევნით განვსაზღვროთ მისი შედგენის თარიღიც. 924 წელს თუ მის ახლოს კოსტანტინებოლში მოხდა ბულგართა მეფე სიმონის ფრიად საყურადღებო შეხვედრა იმპერატორ რომანოზთან, რასაც მშვიდობიანობა უნდა განემტკიცებინა ორ სახელმწიფოს შორის. ხოლო ნიკოლოზის სიტყვებითგან ირკვევა, რომ ამ ამბის ვაგებაზე გიორგი მეფეს, ალბათ მილოცვის მიზნით, წერილი გაუგზავნია კოსტანტინებოლში. რაკი შეხვედრამ სათანადო შედეგი ვერ იქონია, ამიტომ გიორგის პასუხად ზემო წერილი გაუგზავნა პატრიარქისაგან: რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ომისთვის მზად იყავით. ვინაიდან ნიკოლოზის პატრიარქობა 925 წელს დას-

რსულდა, ამისთვის ეს წერილი მიმართული უნდა იყოს არა უგვიანეს 925 წლისა.

ამ წერილის თარიღს ერთი სხვა არა ნაკლებ საგულისხმო მნიშვნელობა აქვს. ბაგრატ მესამის „მეფეთა ღივანი“-ს თანახმად, კოსტანტინეს უმცგენია 873-912 წ. გიორგი მეორეს კი 912-957 წლებს შორის. არც ერთი წელთაღრიცხვა არის სწორედ დაარც ნეორე. კოსტანტინე ჯერ ისე მეფე იყო 914 წლის შემდგომაც (იხ. ჯავახიშვილი, იქვე, გ. 383-395). რათგან გიორგი მეორე 924 წ. უკვე მეფედ მოჩანს და პატრიარქის წერილი მისი მამის — კოსტანტინეს სიკვდილზე „დღუმს, ამ-

ის გამო საფიქრებელი ხდება, რომ 924 წ. რომორც კოსტანტინეს მიცვალება, ისე გიორგის გამეფება დიდი ხნის ამბავი იყო და პატრიარქს ამ თარი მოვლენის გახსენება აღარ ენაჭიროებოდა. იქედან შეგვიძლია დავასკვნათ: მამის გარდაცვალებას და ძის გამეფებას ადგილი ჰქონდა დაახლოებით 915-920 წლებს შორის.

შემდეგ ნომერში მოციყვანთ ნიკოლოზ მისტიკოსის სამივე წერილს, ჩვენ მიერ ბერძნულთგან ქართულად თარგმნილს.

მ. მ. თარხნიშვილი

ქვირვასი მებოზრის ხსოვნას

თუ ქართველი ერი საუკუნეთა განმსავლობაში შეუწყვეტელ ბრძოლებს უმარავ და უძლიერესა ნეტრთა წინააღმდეგ ვერ მოუხსია და ვადაორჩენილა, ამას უნდა ვუმაღლოდეთ ქართველი კაცის ხასიათს. ვინც არა ზერელოდ, არამედ ფრიალ გულ - მოდგინედ წაიკითხავს და მართლად გაიგებს ძველს თხზულებებს, ნომთხრობს საქართველოს თავ - გადასავალისა, და შეადარებს მას სხვა ერთა მატანიებს და ისტორიებს, მიხედება, თუ რით განირჩეოდა ქართველი სხვათაგან. ვისაც ჩვენი ცხოვრება გვახსოვს მეცხრამეტე საუკუნისა, გვახსოვს ის პიროვნებანი, რომელნიც იმ ცხოვრებაში ერის ხელმძღვანელნი იყვნენ, ჩვენც ნათლად შეგვიძლია ჩილვა მაშინდელი ქართველის ხასიათისა, რომელიც სხვათა ხასიათისაგან განსხვავდებოდა, თუ თვალი გვიჭრის. ვისაც ახსოვს ჩვენი დამოუკიდებლობის დღეები 1918-1921 წლებისა, მას ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ქართველმა, თანახმად მისი ბუნებისა, ის კეთილი ქმნა, რაც ბევრს სხვას, გააღებულს არ უქმნია, და არ უქმნია ის ბოროტი, რაც ბევრსვე სხვას უქმნია, — აგრეთვე თანახმად მისი ბუნებისა. და ვინც დღეს ნათლად ვხედავთ სინამდვილეს ერთა ცხოვრებისა, გავებრჭობით რა ჩვენ გულს და გონებას, ვიტყვით: ჰევრი მაგავსი რაჟ მათი მოქმედებისა ჩვენი გულითგან და ხელითგან არ გამოვა, შეუძლებელია რომ გამოვიდეს, ვითარცა მთუფერებელი ჩვენი ბუნებისა.

ნაკლი ყოველ ერს აქვს, რაგვარადაც ყოველ კაცს. ქართველთა შორისაც ბევრი ყოფილა დამნაშავე, მორალატე, ცრუ და უხნეო, და დღესაც არის. ქართველთა შორისაც ბევრი ყოფილა სასტიკი, მხეცა, უღმერთო, და დღესაც არის. მაგრამ თუ შევადარებთ რაოდენობას ბოროტთა და უკე-

თურთა და საზღვარს მათი უკეთურებისა უცხოთა და ქართველთა შორის, განსხვავება ქართველის ბუნებისა ბევრ უცხოთა ბუნებისაგან ჩვენთვის ცხადი იქმნება. ეს არის უძვირფასესი, რაც ჩვენ ქართველთ მოგვებოვება და რაც არ გაიცვლება რც ერთ სხვა ღირსებაზედ, რომელიც სხვას ბევრს შეიძლება მიტი გააჩნდეს ვიდრე ქართველს.

ქართული კულტურა ქართველის გულის და გონების შექმნილია, და ქართველი კულტურული ტიპი თავისებურია, სხვაგან არ არსებული საქართველოს გარეშე.

ამაყი და თან თავ - მდაბალი; მებრძოლი რაინდი და თან ზომიერი, არა გააღებულული და თავაშვებული გამარჯვებით და არა წამხდარი და მლიქვნელი დამარცხების შემდეგ; ზრდილი და ზრდილობის მომთხოვი სხვათაგანაც; არისტოკრატტი და თან დემოკრატტი; ნამდვილი ქრისტიანი და არა ყველაფრის ჩამდენი მხურვალე ილოცვის შემდეგ ეკლესიაში, და სხ. და სხ.. ეს იყო იდეალური ტიპი კულტურული ქართველისა. მას ჰქონდა პატივის - ცემა და სიყვარული, ვინც ამ იდეალურ ტიპს უახლოვდებოდა, ხოლო საწინააღმდეგო თვისებათა მქონე ანტიპათიურად, „კუდ - კაცადაც“ ითვლებოდა, იგი არ იყო კარგად „მიღებული“ ქართულ საზოგადოებაში.

ასეთ კაცთა მოქმედებით და ხელ - მძღვანელობით არსებობდა ქართული საზოგადოება ჩვენი პოლიტიკური მონობის დროსაც და წარმეტებოდა ერის ცხოვრება. — და ხშირად ვაჰვირვებია არა ერთს ჩვენგანს, თუ რად ჰქონდა პატივისცემა „ქართველს“ უცხოეთშიც უცხოთაგან, თითქმის ყველგან, — რუსეთში, ევროპაში, ოსმალეთში, სპარსეთში და სხვაგან და სხვათაგან, და

თუ რად იღებდენ ხშირად უცხოელნი ქართველის ხელმძღვანელობას დიდ საქმეებშიც კი. ხოლო დიად ქართველის კულტურული ტიპის თავისებურებით, ქართველის განსაკუთრებული ხასიათით აიხსნება ეს მოვლენა. ამ განსაკუთრებულ თვისებათა მქონე კაცს სიძვათია, პატივის - ცემა და ნღობა აქვს ყველგან. —

რასაკვირველია, ერთობ სინამდვილეს ჩვენსას სიმწარე და საზინელებაც თან ახლდა, მაგრამ სიკეთე და ნათელ - მოსილ კაცთა ღვაწლი უადვილებდა ერს ორივეს ძლეუას. და ამას რა ვაზრობ, ჩემ თვალთა წინ აღიმართებთან აჩრდილნი ქართველთა, ამ ნათელ - მოსილ კაცთა, მეტ-ნაკლები სიდიდისა, სხვა და სხვა გვარისა, რწმუნისა და საქმისა, მაგრამ ერთი ტიპისა, რომელთა ხილვაც კი იმედს ჰგვირდა ქართველს, რომ ერს ძალ უქს ღირსეული ცხოვრება მათი ღვაწლითა და ხელმძღვანელობით:

ამ აჩრდილთა სიჩრას იკუთვნის ახლად გარდაცვალებული საფრანგეთში ანდრო დეკანოზიშვილი, ჩემი ძვირფასი შეგობარი, რომლის ნათელი პიროვნება ჩემთვის სიკვდილამდე დაუციწყარი იქმნება. იგი იყო იმ განსაკუთრებულ ღირსებათა მქონე ქართველთა ჯგუფისა, რომელთაც ეკუთვნოდნენ მისი ბიძა-შვილი გიორგი დაკანოზიშვილი, კიტა აბაშიძე, ნიკო თავდგირიძე, ილია ნაკაშიძე, ვახტანგ ლამბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, მათზე უფროსი გიორგი ზდამოვიჩი და მრავალნი სხვანი, კაცნი სხვა და სხვა ხელობისა, მაგრამ ყველა უანგარო მსახური საქართველოსი, უბრეტუნო, მსხვერპლის არდაშრილებელი, ამაყი და პატივის - ცემის მომხვეჭი მტრის წინაშეც, აღსავეც ზნეობით, შეურყეველი რწმუნით მათი საქმის სიწმიდისა და პასუხისმგებლობა გრძობით ქვეყნის წინაშე, ართოდეს რუსის სამსახურში მყოფი, არამედ თავისუფალი მოქალაქე სახელმწიფო უფლებათა ახალი სამშობლოსი, რომლისთვისაც იღწოდა მრავალგვარი საქმით, კალმით და სიტყვით.

ანდრო იყო მართლაც არა - ჩვეულებრივი მთლალი სულის პატრონი, რომელსაც ართოდეს ჰქონია სურვილი თვის საქმეებზედ ესაუბრა, იგი თვით იყო ქმაცოფილი მოვალეობის აღსრულებით და ამისთვის მოწონება და ქება არ უნდოდა. ამიტომ მის საქმიანობაზედ ბევრს წარმოდგენაც არ ჰქონდა. ბევრმა არ იცის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას, ევროპიულად განათლებულს, ევროპაში ხშირად მყოფს და საქართველოში ევროპელებთან დამეგობრებულს ქართველთა და ევრო-

პიელთა შორის ურთიერთობის დამყარებისა და ევროპაში საქართველოს საკითხის გატანის საქმეში, თუ როგორ ეხმარებოდა იგი აქ გიორგი დეკანოზიშვილს, და სხვ. და ვის ამოირჩევდა საქართველოს მთავრობა მისს უკეთეს სადესპანოდ რომანულ ქვეყნებში? ხოლო ანდროს, არგენტინაში დეკანად დანიშნულს, აღარ დაცხადდა იქ გამგზავრება, რათვანც მტერმა ჩვენი დამოუკიდებლობა მოსპო.

ანდრო მწერალიც იყო, და ფრიად ნიჭიერი მწერალიც. მისმა პირველმა მოთხრობებმა აღტაცება გამოიწვია თავის დროზედ ქართველ მკითხველთა შორის, — განსაკუთრებით მისმა ხელოვნებამ ქართული სიტყვისა. საუბედუროდ მწერლობას მან თავი დაანება. რატომ? ეძიებოდა? არა. მახსოვს, უკანასკნელი ომის დროს მან ერთ ქართულ ორგანოში პატარა ამბავი დაბეჭდა, — მოხუცი ნოვარის საუბრისა ახალგაზრდათა წინაშე და, როდესაც ამათ მისი გამოცდა უნდოდათ, ხომ არ იკუთხისო, თუ რავარ ვეფხვით ვადახტა ვაშლილ ფართო ნაბადს. ვისაც ეს მოთხრობა წაუკითხავს, მას არ შეუძლია აქაც, ამ უბრალო თხრობაშიც არ დაენახა დიდი ტალანტი. მაშ რად დაანება ანდრომ თავი ქართულ მწერლობას და არ გაამდიდრა იგი? არ ვიცი. ერთხელ პარიზში ვკითხე მას მიზეზი ამისა. მან მისი ჩვეულებრივი კეთილი ღიმილით შემომხედა და სიტყვით არაფერი მითხრა. და რა მითხრა ამ ღიმილით, ვერ მივხვდი. მისი ბუნება რომ ვიცოდი, მისი ღრმა სინიდისი და პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაფრის წინაშე, შეიძლება შემდეგი მითხრა: დიდს ვერ მოგერევი, შეშინია, მცირეს კი სხვაც ბევრი სწერს, რა საჭიროა ზედ - მეტი და ეწერო. სცდებოდა ანდრო, თუ მართლა ამას აზრობდა, მას დიდს შექმნაც შეეძლო, ხოლო ცდა ამოუებად მიიჩნია. და არც სწუტდა ამისთვის, რათვანაც ბუნება მისი დიდი იყო, მარტივი და წმიდა, არა ამპარტავანი.

და ვისაც უნდოდა განეცადა ანდრო მთლიანად, მისი არსებით, მასთან უნდაგაეტარებია დრო მისვე სახლში. მისი არა - აღელვებულ, ნამდვილი სიხარული სტუმრის მიღებისას, მისი საუბარი, მრავალ - ფერი და საინტერესო, მისი სუფრა, მისი დინჯი და მხიარული გულით მოლხენა, — ესე ყოველი ისეთი რამ იყო, რომ ზღვასავით აღელვებულ სულსაც სტუმრისა დამშვიდებდა. გვერდს უშვენიებდა მას დასახლისი, მუყულევი, მისი შესაფერისი ყველაფრით, და მისი შემავსებელი, ცოცხალი, გონიერი, ისეთივე მარტივი და მართალი

სულის მქონე, რავგარისაც ანდრო იყო, — აწ დაქვრივებული მოხუცი ელენე, და მისი სახლი-თვან ამ სანეტარო წუთების შემდეგ შინ დაბრუნებული სტუმარი ნატრობდა, კვლავ ჰქონოდა ბედნიერება ანდროსთან დროს გატარებისა.

ღრმად მოხუცებულმა დატოვა ანდრომ ეს წუთი — სოფელი. ამ დიდი დროის განმავლობაში მრავალს უნახავს და შეუძლებელია დავიწყებოდეს ვისმე იგი თავისებური და უმწიკვლო. ამით ჯვადვილდება მის მეგობართ სიმძიმელი მისი დაკარგვისა. მაგრამ ვაი თუ იგი ილა მისნი მსგავსნი

განუმეორებელი იყვნენ და იგინი ალარ წარმოიშენენ საქართველოში! მე ამას ვსტირი და ამისი მეშინის, რათვან დრო გამზარდელი მსგავს პიროვნებათა წავიდა და როდის დადგება კვლავ, არავინ იცის; რათვან იერი, წარმომშობი მსგავს ადამიანთა, მტერმა დაფლითა, იგი მძვინვარე უსპობს მას ჯიშს, თესლს, დამბადებელს იმ ქართველთა, რომელთა ხასიათით და საქმით საქართველომ ათასეულთა განმხვლობაში იარსება.

მ. წერეთელი

რუსიფიკაცია საქართველოში

ოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა ძირითადად შეიცვალა. თუ უწინ, საბჭოთა ადამიანს საბჭოთა პატრიოტიზმს უნერგავდენ და სურდათ შეექმნათ ზეგროვნილი სახელმწიფო, 1930 წლიდან დაიწყო მკაცრი და ულმობელი რუსიფიკაცია, „საბჭ. პატრიოტიზმის“ მცნების ნიტოვება, რომელიც განსაკუთრებული სიკბადით მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში გამოჩენილდა და კიდევ უფრო თავით ომის დროს. ვის არ ახსოვს ალექსანდრე ნევეკის, სუფიოროვის, კუტუზოვის და სხვა რუს გმირთა ქება-დიდება ისევე, როგორც რუსული კულტურის, რუსული ენის, რუსული ტრადიციების და სხვა. კომუნისტებმა შეიგნეს, რომ არც რუსი და არც არა რუსი, „საბჭოთა სამშობლოს“ დასაცავად არ იბრძოლებდა, და რათვანაც რუსები საბჭოთა კავშირის ერებში ყველაზედი დიდი ერთეულია, სტალინმა გადასწყვიტა მათზე დაყრდნობა, ბოლომდე განაგრძო სასტიკი ბრძოლა „ბუჩქუაზიული ნაციონალიზმის ნაწიების“ წინააღმდეგ და უაღრესად გააძლიერა რუსიფიკაციის პოლიტიკა.

სტალინის გარდაცვალებისთანავე, აშკარა გახდა, რომ საბჭოთა მეთაურთა შორის აზრთა დიდი სხვა და სხვაობა არსებობდა ეროვნული პოლიტიკის შესახებ. პირველ დღეებში, უსათუოდ ბერძინს გავლენით, რუსიფიკაციის პოლიტიკა, ყველა ეროვნულ რესპუბლიკებში აშკარად შენედა. ბერძინ იცოდა, რომ მას სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოელოდა და ცდილობდა არარეალური მოსახლეობა თავის მხარეზე გადაეყვანა. კომპარტიის მეცხრამეტე ყრილობის დროს, მან ვრცელი მოხსენება გააკეთა სოციალისტური ქვეყნების განვითარების შესახებ, რის შემ-

დეგ საბჭოთა პრესა სავსე იყო შენიშვნებით, როგორც მაგალითად: „ეროვნული ანტაგონიზმის ვრძინობათა გამწვავების ცდები, ღრმად ეწინააღმდეგებიან სოციალისტური იდეოლოგია“. („პრავდა“. ნ აპრილი 1953 წ.); „პრობაგანდა მხოლოდ მაშინ არის ეფასებები ამა თუ იმ ერისათვის, როდესაც ის ამ ერის დედა ენაზეა წარმოებული. ამ ფაქტს ყურადღებას არა აქცევენ ზოგიერთი ეროვნული რესპუბლიკები“. („კომუნისტი“ № 9, ივნისი 1953 წ.)

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება — რომელიც გვიჩვენებს, რომ როდესაც ბერიას გავლენა იზრდებოდა და იგი ცდილობდა სტალინის ტახტის დაპატრონებას, რუსიფიკაციის პოლიტიკა საგრძობლად შენელებული იყო. იმ დროს მონდარი უკრაინის და საქართველოს კომუნისტური პარტიის მდივნების გადაყენება, სწორედ ამით აიხსნება. საქართველოში, მგელაძეს „არ-არსებულ ნაციონალიზმის შემთხვევების ხელოვნური შექმნა“ დააბრალებს, ნელნიკოვს კი უკრაინაში — „ღრმა შეცდომები ლენინ-სტალინის ეროვნულ პოლიტიკის განხორციელებაში.“

ბერიას დაცემის შემდეგ, ძველი პარტიული ხაზი არა მხოლოდ აღდგენილ იქმნა, არამედ დიდად გაძლიერებულიც. მთელს საბჭოთა კავშირში, და განსაკუთრებით ეროვნულ რესპუბლიკებში დიდ „აღშფოთებას“ განოსთქვამდენ ეროვნულ საკითხისადმი ბერიას „მუხანათური“ მიდგომის გამო. ყველგან ისევე რუსული შოვინიზმი აღორძინდა და რუსიფიკაცია გაძლიერდა. მაგრამ უდავოა, რომ ყველაზედი მეტი უბედურება საქართველოს ხედა წილად.

1954 წ. თებერვალში, საქართველოს კომპარტიის მეთექვსმეტე ყრილობის დროს, ცენტრალ-



ური კომიტეტის დღევანდელმა პირველმა მდივანმა, მესაგანძემ, ეროცელი მოხსენება გააკეთა საქართველოს მდგომარეობაზე. აი ზოგი რამ ამ მოხსენებიდან: (რადიო თბილისი, 18 თებერვალი 1954 წ.) „...საქართველოს რუსეთთან შეერთებას უზარმაზარი პრაგმატული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისათვის, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური თვალსაზრისით“ —ო.

„...პროფ. კულტაძემ, (გვარი შეიძლება დამახინჯებულია. შ. კ.) ზოგიერთი მასალებისდა მიხედვით სკდა დაემტკიცებინა, რომ ქართველთა ნეთაურების ორიენტაცია რუსეთთან გაერთიანებისა შეცდომა იყო და საბედისწერო შეიქმნა საქართველოსათვის. ეს შეხედულება ცხადს ჰყოფს, რამდენად არა დამაკმაყოფილებელია ისტორიის შესწავლის ფრონტი ჩვენს რესპუბლიკაში.“

„... საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის საკითხი, ნათლად გაშუქებულია საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში; მაგრამ მაინც ეს დიდი და საღი თქმა მოელის გაღრმავებას და მრავალ მხრიდან უფრო ღირსეულ შესწავლას.“

„საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა იზრდება და მაგრდება მჭიდრო თანამშრომლობაში ძმურ ერთა ლიტერატურასთან და უპირველეს ყოვლისა, დიდი რუსი ერის ლიტერატურასთან... საიდუმლო არ არის, რომ მრავალი ქართველი უმაღლესი განათლება მიღებულიც კი, რუსულს ცუდად ლაპარაკობს. საყვედურის ღირსნი არიან არა მარტო უმაღლესი სწავლის დაწესებულებები, არამედ საშუალო სკოლებიც... სკოლებს არ ჰყავთ რუსული ენის და ლიტერატურის საციალისტიკების საკმაო რიცხვი... ჩვენ გავფაროთვეთ რუსული ენის სწავლა აფხაზეთისა და სამხრეთოსეთის სკოლებში“ —ო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „კომუნისტი“ —ს ერთ ნომერში (№ 3—9779, 1954 წ.), დაბეჭდილი იყო ვრცელი წერილი შემდეგი სათაურით: „ზომები საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში რუსული ენის და ლიტერატურის სწავლის გაუმჯობესებისათვის.“ მოგვყავს ზოგი რამ ამ წერილიდან: „...მიუხედავად მთელი რიგი ზომებისა, როგორც მაგ. რუსული ენის სწავლის ვადის თერთმეტ წლამდე გაანა, თბილისში რუსული პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსება და სხვა, ...—რუსული ენის და ლიტერატურის შესწავლის დონე დამაკმაყოფილებელი არ არის... სტუდენტებისა და მოწაფეებს დიდი რიცხვი ეწერა აზარებენ რუსული ენის გამოცდებს... საქართველოს სკოლები იზვიათად

აწყობენ რუსული ლიტერატურისათვის ნიძღვნილ კრებებს... არ მართვენ მოხსენებებს რუსულ ენაზე... არ აწყობენ პიონერების კრებებს რუსულ ენაზე... არ არის საკმარისი რიცხვი რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნების... რუსულს ასწავლიან არა მომზადებულნი პირნი... მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საცხებით შეთვისებული დიდი რუსი ენის ენა“ და სხვა...

მეაჯანაძის სიტყვისა და „კომუნისტი“ წერილია გამოქვეყნების სულ მოკლე ხნის შემდეგ, გამოვიდა ბრძანება: — საქართველოს ყველა სკოლებში რუსული ენისათვის მიძღვნილი დრო 400 პროცენტით უნდა გადიდებულ იქნას; რუსული პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტების რაოდენობა იმ ვარაუდით გამრავლებული უნდა იყოს, რომ 1960 წლამდე საქართველოს ყოველ სკოლას რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებლების საკმარისი რიცხვი ყავდეს; უნდა შეიქმნას საგანგებო კურსები, სადაც რუსული ენის მასწავლებლები თავის ცოდნას განაახლებენ; 1955 წელში საქართველოს ყოველ სკოლას უნდა ჰქონდეს რუსულ-ქართული სიტყვარის საკმარისი რაოდენობა და სხვა...

თუ საბჭოთა კავშირში აქამდე მეცნიერებს ნაბრძანები ჰქონდათ მარქაზმის, კომუნიზმის, სოციალიზმის, კოლმეზობის და სხვათა ქება დიდება, დღეს სულ სხვა რამ უნდა აღიღონ — საბჭოთაობა — ყველაფერი რუსული.

„კობროსი ისტორიი“ (საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანო), 1953 წლის ივნისის ნომერში (გამოცემული მხოლოდ 8 ავგისტოს, ბერიას დაცემის შემდეგ) გვაძლევს მაგალითების მთელ რიგს, რომელიც ამტკიცებენ საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მისწრაფების არსებობას.“ ...1950 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიაში“, ამბობს ყურნალი, „საქართველოს და რუსეთის შორის საუკუნოებით არსებული კავშირი, არ არის სწორად გაშუქებული. მეტიც, ისტორიული ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ, ავტორები ამტკიცებენ, რომ რუსეთთან გაერთიანება საქართველოსთვის სასარგებლო არ იყო და რომ ეროცელ მეფისა და მისი მიმდევრების იმედები არ გამართლდნ...“ „...ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ეს მსოფლმხედველობა კიდევ უფრო გარკვეულად გამოთქმულია შ. ჩხეთიას წიგნში „თბილისი მე-19-ე საუკუნეში“, რომელშიც საქართველოს რუსეთთან გაერთიანების შედეგები, ბნელ ფერადებშია აღ-



წერილი“ — ო. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ზემოდ დასახელებული წიგნები, მხოლოდ ორიოდვე წლის წინ (1952.) საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებდად ითვლებოდნენ, და როგორც ასეთი, აღნიშნული იყვნენ „ბოლშევიკ სოცეტსაკაი ენციკლოპედიაში.“

ზემოდ უკვე აღვნიშნეთ მკვანადის სიტყვები პროფ. კულტადის წიგნის შესახებ. აი კიდევ მკვანადის რამოდენიმე მარჯალიტი. ის ამბობს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახლახან გამოსცა აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ მეხუთე ტომი. ამ წიგნის გამოცემით უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა მძინე პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინეს... წიგნი გამოცემა, ისტორიის დარგში საბჭოთა თანამედროვე მიღწევათა ყოველგვარი ანგარიშის გარეშე... მას არც კრიტიკული წინასიტყვაობა აქვს და... თული და არც რამე ახსნა განმარტება მოცემული მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს მეხუთე ტომი ეროვნული თვლსაზრისით შეცდომებს შეიცავს. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მე-17-ე და მე-18-ე საუკუნეებში, მაგალითად, დამახინჯებულად არის აღწერილი. წიგნი ხაზს არ უსვამს საქართველოს რუსეთთან მიერთების უდიდეს პროგრესიულ მნიშვნელობასო.“

მკვანადე განაგრძობს: „ძნელია სრული აღწერა რუსული კულტურის დადებითი გავლენისა ქართულ კულტურაზე. ძნელია მკაფიოდ გამოთქმა იმ უსაზღვრო სიყვარულისა, პატივისცემისა და შეგობობის გრძნობისა, რომელსაც ქართველი ერი გრძნობს დიდი რუსის ერის, მისი კულტურისა და ლიტერატურის მიმართო.“

ბევრია კიდევ იმავე კილოზე თქმული და დაწერილი, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია მდგონარეობის ნათლად დასახსნავად.

არის რუსიფიკაციის კიდევ ერთი მხარე, რომელიც საშინელო საფრთხეს წარმოადგენს — ეს არის საქართველოს მიწა წყლის რუსების მიერ კოლონიზაცია. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ სწარმოებს რუსთა დიდი რაოდენობის შეუწყვეტელი შემოსვლა საქართველოში და იქ დასახლება. ამის შემდეგი სტატისტიკა არ მიაბოვება, მაგრამ ყველა ნიშნები ამ დასკვნაზე მიგვითითებენ.

უკანასკნელი სტატისტიკა, რომელიც ხელში გვაქვს, ნათლად გვაჩვენებს თუ რა ხდებოდა და ხდება საქართველოში.

	1922 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქართველი	— 74.7%	— 70.4	— 64.6
რუსი	— 3.2	— 5.2	— 8.7
სხვა	— 22.1	— 24.4	— 26.7

1953 წლის 7 ოქტომბერს, მოსკოვის რადიოს ერთმა კომენტატორმა, ვინმე კრასოვმა შემდეგი სიტყვა: „ერების მონოლიტური ერთობის ქვეთკირი და დედაბოძი რუსის ერია. ის როლი, რომელიც მან საბჭოთა კავშირში შემთავალ სხვა და სხვა ერთა გაერთიანებაში ითამაშა, ცოცხლად გამოთქმულია ჩვენი ჰ ი მ ნ ი ს სიტყვებით: „თავისუფალი რესპუბლიკების შეუღრეკელი კავშირი, საუკუნოდ გამოსტყუდა დიდმა რუსეთმაო.“ ...ეროვნულ პოლიტიკაში, ჩვენი პარტია ლენინ-სტალინის ხაზს მისდევდა და ახლაც მისდევს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლის წარმოებითო.“

კომენტარები ზედმეტია. შეიძლება მხოლოდ ერთი მოვაგონოთ კრასოვს: უღმობელი ბრძოლა არა ნაკლებ უღმობელ წინააღმდეგობას იწვევს... და ბევრი მსგავსი „შეუღრეკელი კავშირების“ დანგრევა ახსოვს ისტორიას.

გაშინტკონი. მერაბ კვიციანი

ძველი ქართული ლიტერატურა

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატიაში (ნაწ. 1.) ჰაგიოგრაფიული ძეგლების შემოღებ, მოთავსებულია სასულიერო რომანებისა და ჰიმნოგრაფიის, ანუ სასულიერო პოეზიის ნიმუშები.

სასულიერო რომანი წარმოადგენილია ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული სახის თხზულებათა ორ განშტოებაში: სატრფიალო - სამიჯნუროსა და სავაჟაკო - სადევგმიროში. საეკლესიო მწერლობის წიაღში ჩნდება საერო მოტივები. ჰაგიოგრაფიული თხზულებებში ავტორთა შეიქვთ

საგმირო და სამიჯნურო ეპიზოდები, მაგ. „ბალავარიანში“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაში რომანის ჩანასახი მე-10-ე საუკუნიდან გვხვდება. გიორგი მერჩულის თხზულებაში: „ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაი“, აღწერილია ზენონის დის „უკეთურ კაცთან“ გამიჯნურობის ეპიზოდი, აგრეთვე აღარნასესა და „მესავი“ ქალის ურთიერთობა და აშოტ კურაპალატის მიჯნურობა.

უფრო მეტია რიცხვი ნათარგმნ ჰაგიოგრაფი-



ულ თხზულებათა, რომლებშიაც ჩართულია რომანიული ეპიზოდები; მაგრამ, განსაკუთრებით მე-11-12-ე საუკუნეებიდან იწყება ინტენსიური მუშაობა საგმირო - საეპეიკო ხასიათის თხზულებათა თარგმანისათვის.

სხვათა შორის, ამგვარმა თხზულებებმაც ნოჟ მზადეს ნიადავი ჩვენში საერო ხასიათის რომანების წარმოშობას, „ჰაგიოგრაფიულმა ბელეტრისტიკამ, — სწერს კ. კეკელიძე, — ქართველი ნკითხველი საზოგადოება მისთვის შეუმჩნეველად მიიყვანა საერო მხატვრული რომანის სალაროდ. ის მკითხველი, რომელიც იცნობდა „წმიდა მხედრების“ თავგადასასვალს: საგმირო საქმეებს გიორგი ძლიერ-მოსილის (კაპადოკიელის), იულოდორე და ანდრია სტრატილატის და სხვ., რომელნიც „ჰუნესა ზედა შემსხდარნი და საჭურველთა ასმულნი“, ებრძვიან მოწინააღმდეგეთ, საშინელ მხეცებსა და ვეშაპებს, ხანდისხან რომანტიულ ყაიდაზე, — ქალწულის განსაცდელისაგან დახსნისა და გამოყვანის მიზნით, — აღვილად მოჰკიდებდა ხელს ამირან - დარეჯანის ისტორიას (სადევგმირო მოთხრობებს. იმ პირთ, რომელნიც იცნობდნენ ჰაგიოგრაფიულ ბელეტრისტიკიდან წმ. ნავრას, იუსტინას, მარინას, თეოდორას და სხვებს, განსაკუთრებით კი აფნეტურას ისეთი „წმიდა მეძავებისა“, როგორიც იყვნენ მარსიამ ეგვიპტელი, მარგარიტა ანტიოქელი და სხვა, არც უცხოებოდათ არც „გევზის-ტყაოსნის“, არც მაინცდამაინც „ვისრამიანის“ ნიჯნურობა.“

ქრესტომატიასი წარმოდგენილია სასულიერო რომანის რამოდენიმე სახის ნიმუში:

1. სიბრძნე ბალავარისი — „სულთა მარგებელი“ სასულიერო რომანი, მეტად პოპულარული საშუალო საუკუნეებში, რომელიც წარმოადგენს ბუდას ცხოვრებას, საქრისტიანო მოთხრობად ცადმოკეთებულს. მასში მოთხრობილია ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავი, თუ როგორ მოაქცია მეუღაბნოე ბალავარმა იოდასაფი, ინდოეთის მეფის შვილი, იოდასაფმა კი — თავისი მამა აბანესი, უწინ ქრისტიანობის მღვდელი...

ბუდას ცხოვრების სასწავლო რედაქციის ვადაუკეთებიათ ქრისტიანულ რომანად ერთ-ერთ ქრისტიანულ მწერლობის ენაზე. თუმცა ეს მეცნიერების მიერ ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ არსებული საბუთების მიხედვით შეიძლება გადაჭრილად ითქვას, რომ ეს ქრისტიანული მწერლობის ენა იყო ქართული. ხოლო სადევნით დამტკიცებული ფაქტია, რომ ქართული ბალავარი ბერძნულად თარგმნა ექვთიმე მთა-

წმიდელმა, რომლის წყალობით ეს რომანი გავრცელებულა ყველა ქრისტიანულ ქვეყნებში.

რომანის უძველესი ქართული ტექსტი დაცულია იერუსალიმში, ბერძნულ პატრიარქალურ ბიბლიოთეკაში. მთლიანი ტექსტი პირველად დაბეჭდა ექვ. თაყაიშვილმა 1895 წ., მეორედ — ილია აბულაძემ 1937 წ., რომელსაც საფუძვლად დაედო პირველი გამოცემის შემდეგ აღმოჩენილი ქართული უძველესი ნუსხები; მესამედ — ს. ყუბანეიშვილმა 1946 წელს.

2. თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრება — სამიჯნურო ეპიზოდების შემცველი სასულიერო რომანი. თეოდორა ალექსანდრიელი ცხოვრობდა იპატრიტორ ზენონის დროს, 5 საუკ. დამდეგს.

3. მარიაშის (აბრაამის ძმისწულის) ცხოვრება — უძველესი სასულიერო რომანი, რომლის ავტორია ეფრემ ასური (373 წ.). ქართულად ადრე ყოფილა თარგმნილი.

4. მარია ეგვიპტელის ცხოვრება — დაწერილია ბერძნულ ენაზე სოფრონ იერუსალიმელის მიერ მეშვიდე საუკუნეში. ქართულად უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს.

5. ეგვიპტელი ბერი — ამოღებულია „პატრიკიდან“, რომელიც დაწერილია ბერძნულად მე-5 საუკ. ქართული მთლიანი „პატრიკი“ უთარგმნია ბერძნულიდან თეოფილე ზუცეს - მონაზონს მეთერთმეტე საუკ. მეორე ნახევარში, რომლის მეექვსე თავს წარმოადგენს „ეგვიპტელი ბერი.“ პირველად დაბეჭდა კ. კეკელიძემ 1945 წ. („ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან.“)

6. გიორგი კაპადოკიელის ბრძოლა ვეშაპთან — საგმირო საზინდო ნაწარმოებია. წარმოადგენს ნაწილს გიორგის „წამებისა“, რომელიც ბერძნულად დაიწერა არა უგვიანეს მეათე საუკუნისა. ქართულ ენაზე უთარგმნიათ მეათე საუკ. მოიპოვება მრავალი ხელნაწერი თხზულებისა, რაც ამტკიცებს მის დიდ პოპულარობას.

სასულიერო პოეზია

ქართულ ენაზე არსებობს მდიდარი საინტერესო ჰიმნოგრაფია, ანუ სასულიერო პოეზია, როგორც თარგმანი, ისე ორიგინალური. ეს პოეზია არის ორგვარი — ლიტურგიალური და სამოძღვრო - მოთხრობითი. პირველი შეიცავს „საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებთ“, საეკლესიო ჰიმნებს დასაგალობლებს, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული ღვთისმსახურების მნიშვნელოვან ნაწილს. მეორეს — საღვთისმსახურო მიზნები არა აქვს დასახული და არის „ნაყოფი მოწმუნე ადამიანის სულის ზედამაფრე-

ნისა და შინაარსის ნხრავი ორ უმთავრეს შტოსა გვაძლევს: „ჰაგიოგრაფიულ - ეორტალოგიურს, რომელიც სხვა და სხვა წმიდანისა და დღესასწაულებისადმი მიმართული, და ბიბლიოგრაფიულ — ისტორიულს, რომელსაც საგნად აქვს სხვა და სხვა თხზულება, უფრო კი ბიბლიური წიგნები და ისტორიული ფაქტები.“

პირველად ხმარებაში ყოფილა ფსალმუნური ელენენტი, ხოლო მე-5-6-ე საუკუნიდან ჩნდება ჰიმნები და საგალობლები, რომელნიც ასახავენ მორწმუნე ადამიანის ღრმა რელიგიურ გრძნობებს და სულიერ განწყობილებას.

ქართული ლიტურგიული ჰიმნოგრაფია ორგვარია: ერთი — პროზაული ჰიმნები, რომელნიც სრავითარ ზომას და კანონს არ ემორჩილებიან; მეორენი — ე. წ. იამბიკოები, დამყარებული ტაქტში მარცვალთა რაოდენობაზე, სადაც რითმა სავალდებულო არაა და რომელიც წარმოადგენს პოეზიის პირველ საფეხურს.

ქართული სასულიერო პოეზიის ძეგლებში მდიდარად არის წარმოდგენილი აკროსტიხი, რომელიც გვხვდება არა მარტო იამბიკოებში, არამედ პროზაულ ჰიმნებშიც. აკროსტიხი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავს ავტორის სახელს, საგალობელთა შემკვეთებს, სახელწოდებას საგალობლისა.

ქართული სასულიერო პოეზია მდიდარია არა მარტო ნათარგმნი ძეგლებით, არამედ **ორიგინალურითაც**, რომელიც იწყება მერვე საუკ. და განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს მე-10-11-ე ს. „ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო წიგნი“ იამოჩენილა მთელი რიგი შესანიშნავი ჰიმნოგრაფებისა, ამბობს კ. კეკელიძე, რომელმაც ღრმა შინაარსიანი, პოეტური ფერადებითა და მოხდენილი სიტყვებით შეუმკიათ არა მცირე მარტო ქართველი წმიდანები და დღესასწაულები, არამედ მსოფლიო ეკლესიისაც. „როგორც ვიცით სალიტერატურო მოღვაწეობას ტაო-კლარჯეთში საფუძველი ჩაუყარა გრიგოლ ხანძთელმა.“

1. პირველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ორიგინალურ ნაწარმოებად — უნდა ჩათვალოს „**ქება წმიდისა მოწამისა ჰაზოისი**“, (მერვე საუკუნე.) მეოთხე თავი აბოს ბიოგრაფიისა, რომლის ავტორად მიჩნეულია იოანე საბანისძე. მეორე ორიგინალური ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებია აბოსავე საგალობელი, დაწერილი ჭელ-ცურატზე და მოთავსებული „**სადგარში**“ (სადღესასწაულო, ლიტურგიული ჰიმნები მთელი წლისა).

2. **კოსტანტინე კანის საგალობელი** — ეკუთვნის ანონიმ ავტორს (9 ს. დამლევს). მისი უძველ-

ესი ნუსხა მოიპოვება მიქელ მოდრეკილის ჰიმნების კრებულში, რომელიც შედგენილია 978-988 წლებში. მეორე ძველი ნუსხა ინახება ქუთაისის ისტორიულ - საეთნოგრაფიო მუზეუმში, მოთავსებულია გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ თათურში. (თათური — ლიტურგიული ჰიმნების შესამე წიგნი, რომელშიც მოთავსებულია დღესასწაულებისა და სხვა და სხვა წმიდანების საგალობლები.)

3. **იოანე ზოზიმე** — 10 საუკ. მწერალია, მოღვაწეობდა პალესტინაში საბას ლავრაში, ხოლო შემდეგ სინას მთაზე. მისი ხელით შემქმნილია მრავალი ძველად გადაწერილი წიგნი, თვითონაც გადაუწერია მრავალი წიგნი და დაურთავს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ტნობები. მისი დაწერილია „ქება და დიდება ქართლისა ენისა“, რომელშიც ქართული ენა აღიარებულია საერთაშორისო ქრისტიანულ ენად და უპირატესობა აქვს მინიჭებული ბერძნულთან.

4. **იოანე მინჩხი** — მეათე საუკ. გაეჩინილი ჰიმნოგრაფია, რომლის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე ორიგინალური საგალობელი. ეს საგალობლები დაწერილია ზოგი პროზით, ზოგი-იამბიკოთი. მათ ახასიათებს ღრმა პატრიოტული გრძნობა.

5. **იოანე მტბეგარი** — ტბეთის ეპისკოპოსი, მოღვაწეობდა მე-10-ე საუკ.-ში, უფარესად განათლებული კაცი, ღრმა ღვთისმეტყველი, იგი ლამაზი სტილით და პოეტური აღმადგინით სწერდა. მოიპოვება 15 ჯგუფი მისი საგალობელ - დასდებულთა.

6. **მიქელ მოდრეკილი** — ერთი უნიჭიერესი და უდიდესი ქართველი ჰიმნოგრაფია მე-10-ე საუკუნისა, რომლის შემწეობით ამ ხანაში — ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებას უმწვერვალეს განვითარებამდე მიუღწევია. მან დასტოვა შესანიშნავი საგალობლები, აგრეთვე დიდი კრებული, რომელშიც მოთავსებულია სხვა ავტორთა ჰიმნებიც, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი, რომელიც მას დაუწერია 978-988 წლებში.

მოდრეკილი (ნიშნავს დაყუდებულს) ბერი ყოფილა, მოღვაწე, მხა ექვთიმე მთონელითა. მან შეკრიბა „საგალობელი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთათა, მერხურნი, ბერძნულნი და ქართულნი.“ სიტყვა მიხურის „მთელი ისტორია აქვს; ზოგს ეგონა, რომ ის ნიშნავდა სომხებს, ზოგს — მესხებს. უკანასკნელი იამოკვლევიტა სიტყვა **მეხური** არის მოსიკაღ-

ური ტერმინი და საგალობლის კილოს აღნიშნავს, ი. ი. იმას „რომ მქესურად წოდებული ჰიმინი უნდა გალობით იქმნეს შესრულებული და არა წაკითხვით.“ მიქელ მოდრევილის საგალობლები ორგევარია: სადღესასწაულო და საკუთარი პარაკლიტონის ჰიმნები აღდგომისა, რეა ჯგუფისა, რეა სხვათა მიხედვით.

7. **ეზრა** — ანჩილი მამამთავარი ებისკაბოსი. მისი ჰიმნები მოთავსებულია მ. მოდრევილის კრებულში. მთავარია „დასდებულნი წმიდისა ევთიმე მოლუაწისანი.“

8. **იოანე ქონქოზისძე** — მე-10 საუკ. მწერალი ტაო-კლარჯეთის სკოლისა. მან დასწერა „გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო. ისმიაიტე. ლ. ყოფილისა - ქართველისანი.“

9. **კურდანი** — მე-10 საუკ. მწერალი. მისი საგალობელი „დასდებულნი წმიდისა აღდგომისანი“ — მოთავსებულია მ. მოდრევილის კრებულში.

10. **სტეფანე სანაოისძე** — ჭყონდიდის ეპისკოპოსი. ქრესტომატიის იბეჭდება მისი შესხმს „სტეფანე პირველ მოწამისა“, რომლის კიდურწერილობა იძლევა ავტორის სახელს.

11. **ფილიპე** — მისი ვინაობა უცნობია. ავტორი ჰიმნისა: „ბეთლემის საგალობელი“, რომელიც საეკლესიო პოეზიის დარგში არის წინამორბედი შოთა რუსთაველის 16-მარცვლიანი სილამუზრ - ტონურ საზომისა.

12. **ბორენა დედოფალი** — მეუღლე ბაგრატი მეოთხისა; მას მიაკუთვნებენ ერთ ლექსს, რომელიც წარწერილია სვანეთში ლენჯვრის მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის თქროცედილ ხატზე. დაწერილია მე-11-ე საუკ. პირველ ნახევარში: **რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,**

ჰრკე რაი გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი,
მე შენი სამსტუვრე, ქვეყანად მავალი, —
დაემხა ძალი, პირველ სისხლითა მთვრალი,
ქალწულ, მიხსენ ბორენა ჰირმრავალი.

13. **გიორგი მთაწმიდელი** (1009-1065 წ.) როგორც წინა წერილში იყო ნათქვამი, გიორგი მთაწმიდელი ათონის სალიტურატურო სკოლის წარმომადგენელია. ქრესტომატიის იბეჭდება მისი თორმეტმარცვლიანი ორიგინალური ლექსი, რომლის კიდურწერილობა იძლევა წაკითხვას „გეორგი“. განოქვეყნებულია აგრეთვე მისი „გალობანი ღამისთევად ნათლისღებისა“, „დღეს იორდანეს ქრისტეს ნათლისღებასა ყოველი სოფელი განათლდა. სამების წმიდისა თაყუანისცემით გაწეცხადნა, იხარებენ ერთბაშად ანგელოზნი და კაცნი.“

გიორგი მთაწმიდელი სწერდა აგრეთვე მსოფლიო წმიდანთა სახელობის საგალობლებსაც.

14. **ეზრა ათონელი** — ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწეა მე-11-ე საუკ. მან დასწერა იოანე ათონელის საგალობელი „წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქართველისაი“, რომლის ნუსხა ცნობილია 1074 წ. ხელნაწერით.

15. **ბასილი** — მე-11-ე საუკ. ჰიმნოგრაფია. მას ეკუთვნის აკროსტიხული საგალობელი „გალობანი ეფეთიმე მთაწმიდელისანი“...

16. **ზოსიმე ათონელი** — მოღვაწე ათონის მონასტრისა. 1071-1077 წ. მას დაუწერია საგალობლები ილარიონ ქართველისა და ექვთიმე მთაწმიდელის სახელზე.

17. **ეგრემ მცირე** (კარტიისძე). შავი მთის სალიტურატურო სკოლის ცნობილი წარმომადგენელი (10 ს.). როგორც ვიცით, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური მწერლობის განვითარებაში. იყო მესსანიშნავი მეცნიერი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი. ქართულ მწერლობაში მან მთელი ეპოქა შექმნა. მისი შრომების რიცხვი სხვა და სხვა დარგისა ასამდე აღწევს: ენება ლიტურგიკას, შიბლიოლოგიას, ეგზეგეტიკას, დოგმატიკას, მისტიკას, ფილოსოფიას, ისტორიას, პოეზიას, ჰაგიოგრაფიას. ქრესტომატიის იბეჭდება მისი ორიგინალური და ნათარგმნი იამბიკონი.

18. **დავით აღმაშენებელი**. მის კალამს ეკუთვნის „გალობანი სინანულისანი“, რომელიც ღრმად გრძნობით გამსჭვალული ავტორის ინტიმური მხარისა და ფსიქოლოგიური - რელიგიური განცდილის ამსახველი თხზულებაა.

19. **არსენ იკალითელი** — ფილოსოფოსი. (11-12 ს.) მოღვაწეობდა შავ მთაზე, მანგანის წმ. გიორგის მონასტერში და საქართველოში შიომღვიმის მონასტერში, სადაც მას დაუმთავრებია თვისი დიდი შრომა, ცნობილი „დოგმატიკონის“ სახელწოდებით. პოეზიაში მას ეკუთვნის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი; მათ შორის დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

„როს ნაჭარმავეს მეფენი
შვიდნივე პურად დამეხსნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღუართა იქით გამეხსნეს
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა წყალთა შთამეხსნეს,
აწე ამათსა მოქმედსა
ხელნი გულზედან დამეხსნეს.“

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1955 წლ. 16-17 აპრილს, ქ. მიუნხენში შესდგა კონფერენცია ქართული პოლიტიკურ - კულტურული ძალების შექავშირებისათვის დიდი ხნის განმავლობაში წარმოებული მუშაობის დასამთავრებლად.

კონფერენციამ ერთსულოვნად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი: არსდება ქართული პოლიტიკურ - კულტურული კავშირი, რომელიც ისახავს მიზნად, 1. პოლიტიკურს: საქართველოს სუვერენულ უფლებათა დაცვას უკომპრომისოდ ყველგან და ყოველ პირობებში; მუშაობას საქ. ართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის; ბრძოლას ბოლშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

2. კულტურულს: ქართული კულტურისა გაცნობას უცხოელთათვის; კვლევას და მუშაობას ამ დარგში.

ხელს აწერენ:

1. მიხეილ ალმბიაია
2. დავით ვაჩნაძე
3. ალექსანდრე მანველიშვილი
4. გიორგი მაღალაშვილი
5. ნიკო ნაკაშიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. კალე სალია
8. ვლადიმერ ცხომელიძე
9. მიხეილ წერეთელი

ქართული პოლიტიკურ - კულტურული კავშირის თავმჯდომარე:

გიორგი მაღალაშვილი

ქ. მიუნხენი, 19 ივნისი 1955 წელი.

**

რედაქციისაგან

როგორც ზემომოყვანილ განცხადებებიდან სჩანს, კავშირის ერთი და ნათელი მიზანია დარაჯად ედგეს და ემსახუროს საქართველოს დათრგუნვით სუვერენობის აღდგენის საქმეს ყველგან, ყოველგვარი მგრყეობისა და კომპრომისების გარეშე. და რათადენი ხანიც უნდა გაგრძელდეს საქართველოს დაჭერა სამხედრო ძალებით რუსეთის მიერ, ჩვენი საქმე სავილოს - შვილთა და ნოქმედება კავშირისა ერთი თაობის შემდეგ მეორისგან უნდა იქმნას გაგრძელებული, სანამ მიზანი საქართველოს პოლიტიკურად განთავისუფლებილს არ იქმნება მიწვეული.

დღეს ემიგრაციაში კავშირის ღვაწლი ორგანიზირდება იყოს: 1. მუდმივი ნოგონება ევროპისა და

ამერიკის სახელმწიფოთათვის, რომ დამოუკიდებელი საქართველო არსებობს, იგი მხოლოდ ძალით არის დაჭერილი, ისიც ხელშეკრულების ვერსაგული დარღვევით უცხო სახელმწიფოს მიერ, და მოიხსნება თუ არა უცხო ოკუპაცია, იგი აღსდგება ვითარცა სუვერენული სახელმწიფო.

2. კულტურულ კაცობრიობას ჩვენ უნდა მოვაგონოთ მუდამ მისთვისაც ძველ დროიდანვე ცნობილი ფაქტი, რომ ქართველი იერი ძველი კულტურული ერა, მდიდარი წარსულით, დაჯილდოებული სახელმწიფოებრივი ნიჭით, რასაც ამტკიცებს მისი ისტორია და ვუჩვენოთ ღირებულება და თვისება მისი კულტურისა, რომელიც მონათესავეა ევროპის კულტურისა, მონათესავეა ძირითად კავკასიაში წარმოშობილი.

„ბედი ქართლისა“ განსაკუთრებული სიხარულით ეგებება დაარსებას ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც ერთ უმთავრეს მიზნად ისახავს კულტურულ მუშაობას.

იგი დარწმუნებულია, რომ ქ. პ. კ. კავშირი, მასში თავმოყრილი საუკეთესო კულტურული ძალებით ენერგიულად მოაქედებს ხელს ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს, რომელსაც დღემდე ჯეროდანი ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული.

დავით ლანგი

26 აპრილს, ბ. დ. ლანგმა წაიკითხა პარიზში მეტად შინაარსიანი მოხსენება ექვთიმე მთაწმიდელზე მისი გარდაცვალებიდან ათასი წლის შემსრულებების გამო. მოხსენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ბ. დ. ლანგმა გამოცა ცალკე წიგნად მისი ნარკვევი „გიორგი ბრწყინვალე“ (1314-1346), რომელიც დაბეჭდილი იყო ლონდონის აღმოსავლეთ ენათა სასწავლებლის ბიულეტენში.

გამოვიდა ნისივე

Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia by David M. Lang.

The American Numismatic Society, New-York 1955.

ეს შრომა შეიცავს საქართველოს ნუმიზმატიკის ისტორიას და ეყრდნობა უმთავრესად ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების მდიდარ კოლექციას, რომელიც პირველად იბეჭდება. ავტორი გვაძლევს მიმოხილვას საქართველოა პოლიტიკური და ფინანსური ევოლუციისა, კლასიკური ეპოქიდან დაწყებული რუსეთის შემოსვლამდე.

წიგნის 15 გვერდი შეიცავს ფულის სხვა და სხვა ნიმუშებს. დართული აქვს ორი რუკა და შედარებითი ცხრილი ჩვენი მხედრული და ასომთავრული ანბანისა.

პ.რ.ფ. მ. მუსხელიშვილის წიგნილი

ყოველთვიურ ინტერნაციონალურ კრებულში „მონღ ნუვო“, № 89-90, პარიზი 1955წ., მოთავსებულია ვრცელი წერილი (30 გვ.) პროფ. მ. მუსხელიშვილისა, სათაურით: „საბჭოთა კავშირი და ევროპა.“

ავტორი ჩვეული მჭერმეტყველობით და მრავალი საბუთების მოყვანით ამტკიცებს, რომ რუსეთი არ არის ევროპა.

შეფიცვებით ნაწყვეტები ამ უაღრესად მნიშვნელოვანი წერილისა მოვიყვანოთ ჩვენ ჟურნალში. ერთი მოთავსებულია ამ ნომერში.

ნიკოლოზ ჩხოტუას წიგნი

რედაქციამ მიიღო მალტის ორდენის რაინდის ნიკოლოზ ჩხოტუას წიგნი TIMELESS (დროს გაუჩემე). შინაარსი ამოღებულია ქართული ცხოვრებიდან. გამოცემულია ამერიკაში.

Printed by Murray-Gee, Inc. Culver City, California

ჯაგლეთ გვაჯავას გამოცემა

ბ. ჯ. გვაჯავამ მოაწყო მეორე გამოცემა პლას ვანდომის ცნობილ შირადორის დარბაზში.

გამოცემა დაესწრენ ცნობილი მხატვრები. პრესსამ ყურადღებით აღნიშნა მხატვრული ნიჭი ჩვენი თანამემამულისა, რომელიც, ეტყობა, დიდ მუშაობას ეწევა მისი მხატვრული შემოქმედების განსაღვითარებლად.

«L'ACTION GEORGIENNE»

გამოიწერეთ ერთად ერთი ქართული ჟურნალი ფრანგულ ენაზე: «L'action Géorgienne», W. Tsitsichvili, Boite Postale 3, Issy-les-Moulineaux, Seine.

კრებულის ფონდი:

ამ ნომრისათვის შემოვიდა სულ 34.800 ფრანკ. შემომწირველთა სია, № 20, დაიბეჭდება მომავალ ნომერში.

ქართველ ყოფილ მხედართა კავშირი

„ქართველ ყოფილ მხედართა კავშირი საფრანგეთში“ აცნობებს ქართველ მხედრებს (თავი-მეორეებს და არა წევრებს), რომ კავშირის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება წერილობით, შემდეგი მისამართით:

«ASSOCIATION DES ANCIENS COMBATTANTS GEORGIENS RESIDANT EN FRANCE», 66, rue Singer, Paris, 16°.

რედაქციისაგან

ექვ. გ. კობახიძის ნარკვევის: „ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულების ისტორიიდან“ — გაგრძელება დაიბეჭდება მომავალ ნომერში.

საქართველოს ბუნებრივი სიგიჟიანი

კვირას, 9 ოქტომბერს, 3 საათზე, პოლონულურ ბის სახლში, 20, rue Legendre, métro Villiers

ბ. მ. ჩუბინიძე წაიკითხავს ნოქსენებას შემდეგ თემაზე: „საქართველოს ბუნებრივი სიგიჟიანი“.

სამგლოვნიკო

„ბედი ქართლისა“ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დავით მაჭავარიანის, ალექსანდრე ჯაფარიძის, კონსტანტინე კვიციანის, იოსებ გუგუნიას და ნესტორ ფილიას გარდაცვალების გამო.

მადლობის გამოცხადება

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ბ. შ. აბდუშეღის და ქართულ ასსოციაციის გაზეგობას, ქართული ასსოციაციას ამერიკაში, ჩემს ძვირფას მეგობრებს და ყველა იმ პირთ, ვინც პირადი დასწრებით ან წერილობით თანაგრძნობა გამომიტყდა ჩემი საყვარელი მეუღლის ანდრო დეკანოზიშვილის გარდაცვალების გამო.

ელენე დეკანოზიშვილისა

უღრმეს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღეს ჩემ მწუხარებაში დაუვიწყარი შამის დავითის გარდაცვალებაში გამო.

პაბტანე მაჭავარიანი